

1
1940




ლონდონის ქუჩაზე

ნახ. გ. იოსაძისა

— ამჟღავნებდა ღიუნკერთან მთელი დივიზია გადაარჩინა განადგურებას.

— როგორ შესძლო?

— გადმოვიდა თუ არა მტერი შეტევაზე, ვაჟაცურად შეპყვირა თავის ჯარს — არიქა, თავს უშველეთ, მომყევითო — და მოუსვა.



ნინაგმა ფიცხელი დავალება მომცა:

- აილე ბლოკნოტი და განეშ დე სამგზავროდ.
- მასწავლებელი—მოკრძალებით შევეკითხე.
- საერთაშორისო.
- არის საერთაშორისო,—მიუხე მე.

ამით გათავდა ჩვენი საუბარი, რადგან დანარჩენი თავისთავად იგულისხმებოდა. უმაღლესი ავტორიტეტზე გავჩნდი. რამდენიმე წუთი და უკვე ღრუბლებს მიაპოვდა ჩემი თვითმფრინავი.

ღრუბლებს ზევით ცა იყო—ლურჯი და კამაშა, ქვევით კი—თვალწვედნელი ველმინდვრები, ჩვენი სამშობლოს ბარაქები მიწა-წყალი, აყვავებული ბაღნარი, აკვამლებული ქარხნების მიწები და მშვიდობიანი ცხოვრების საამაყო მყუდროება.

— აქედან უკვე ვეროპა იწყება,—გადმომძახა ჩემმა თანამგზავრმა—გმირმა პილოტმა.

- ვეროპა?—მერე რა რომ იწყება?—შევეკითხე მე.
- არაფერი, დააკვირდი ადგილებს, ბევრ რამეს საინტერესოს ნახავ.
- აბა რა საინტერესოა ის ხევ-ხუვი?—მიუხე მას და მივუთითე, ერთ ადგილზე.

- ხევ—ხუვი კი არა, სატანტო ქალაქია.
- თუ ნაქალაქარი?—გავუსწორე სიტყვა.
- დღეს ნაქალაქარია, მაგრამ გუშინ ხომ ქალაქი იყო?—შემომეკამათა პილოტი. ვიდრე ამ ფრაზას დავამთავრებდით, ათიოდე დანგრეულ ქალაქს მაინც გადავუარეთ თავზე.

— რა ჰქვია ამას?—ცივი... პილოტმა სიტყვა აღარ დაამთავრა, თვითმფრინავი ცაში ისარივით შესტყორცნა და როცა რამდენიმე კილომეტრით ავცილდით ღრუბლებს, ახლა მე შევეკითხე:

- როგორ, განა ამ დანგრეულ ქალაქს ჰქვია ცივი?
- არა, მე ცივილიზაციის შესახებ ვამბობდი.
- მერე ცივილიზაციას რა აქვს საერთო ამ დანგრევებთან?
- მეც მაგის თქმა მინდოდა, მაგრამ ხომ იცი დიალექტიკის ამბავი.
- მაინც?

— აქ კაპიტალიზმის სამყაროა ჯერჯერობით და... დანარჩენი გასაგები იყო. დიალოგიც სიტყვა „ჯერჯერობითზე“ შეწყდა, რადგან ჩვენ უკვე ჯინევაში ვიყავით. დავეშვით და როცა ქალაქის საკმაო ნაწილი დათვალიერებული გვქონდა, ერთი დიდი შენობის წინ ასეთ სურათს წავაწყდით: დგას ჩამოხეული პერანგით გაძვალტყავებული ფრთოსანი ბავშვი, ხელი გაუშვრია მოხუცი ჯენტლმენისათვის და სთხოვს.

- გაიმეტო ორიოდ გროში დაჩაგრულს თვის.
- შენ ვინ ხარ პატარავ? ეკითხება ჯენტლმენი.
- მე ყოფილი მშვიდობიანობის ანგელოზი გახლავარ, შტატგარეთ დავრჩი, უმუშევარი ვარ, მშვირი...—

- თანაგიგრძნობ, მაგრამ, არაფერი გამაჩნია...
- შენც მშვიდობიანობის ანგელოზი ხარ ძია?
- არა, მე ვილსონი ვარ, განა არ იცი?—ერთ დროს ჩემს შტატში იყავი შენც.
- არ ვიცი ძია, რა ხელის კაცი იყავი?
- როგორ თუ რა ხელისა განა არ იცი, რომ მე გამოვიგონე?
- რა გამოვიგონე?

— აი, ეოთა ლიგა, რომ ჰქვია... აქ სადღაც უნდა იყოს ის ჩემი დაარსებული სწავრბი,—დავდივარ და ველარ მივაგენი, იქნებ შენ მასწავლო მისამართი.

— ჰო, ასე ვეთქვა თავიდანვე,—მისამართს როგორ არ გასწავლი—ის შენთან გამოგზავნეს საიქოს.

ვილსონს გაუჟვირდა, ისე გაუჟვირდა, რომ ხელახლად გარდაიცვალა. ჩამოხეული ბავშვი კი—მონოტონურად გაიძახდა:

— შეეწიეთ უმუშევარს, ყოფილ მშვიდობიანობის ანგელოზს, აჩუქეთ რამე და ჩაგრულს.

ქვევით პარიზს ჩავფრენდით. გავეცანით იქაურ ცხოვრებას, საკბილო მალეობით გადავავსე ბლოკნოტი და როცა სენის მოედანზე მივდიოდით, ერთმა სანახაობამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება:

ერთს, ახირებულად შემოსილ კაცს ორი ცალი ბოლოკი ეჭირა, რამდენიმე კაცი გარს შემოხვეოდა და ნერწყვის ყლაპვით აძლევდნენ სხვადასხვა შეკითხვებს:

- თქვენო აღმატებულებავ, სად გიშვავით ეგ საუნჯე?
- ბარათით მიიღეთ, ბატონო პრეზიდენტი?
- ეგ ხომ მთელი სიმდიდრეა, უფალო, ქვეყნის მმართველო?
- ამას თავისი ისტორია აქვს ბატონებო.—საიდუმლოების კილოზე მიუგო ბოლოკის პატრონმა,—ენ მე მთავრობის რესტორანის მზარეულმა მაჩუქა ჩემად.

— როგორ?

— ძველმა ნაცობობამ გასჭრა,—სიამაყით მიუგო ბოლოკოსანმა,—შარშან ხომ მეც პრეზიდენტი ვიყავი დიდი პოლინეთისა,—როცა პარიზში ჩამოვბრძნდი, —მთავრობის სასახლეში სუზმეზე ვბრძანდებოდი, მაშინ, ის კაცი ლაქიად ყოფლა, მე თურმე ხელთათმანი დამიგარდა და მან მომაწოდა, მაღლობა მითქვამს და დახსომებია.

— მაღლობა მეც ვუთხარი, როცა პარიზში ჩამოველ, როგორც დიდი ლიტერატურის პრემიერი,—მაშ მეც წავლ. ეგებ ბოლოკის ფრჩხილ მაინც მიბოძოს.

— ეგ ძეტიჩარობა იქნება, ბატონო პრემიერი,—ჩემს მაღლობას უფრო დაიხსომებდა, მე ხომ ლატერიის პრეზიდენტი ვიყავი?

— ერთი ამას უყურეთ, მაშ ისე გამოდის, რომ პრეზიდენტობაში შეტრდები რალა?—წყობით მიმართა ბოლოკის პატრონმა,—მე დიდი პოლინეთის მფლობელს გვერდში მიდგები შე ცინგლიანო შენა?

— პოლინეთისა კი არა, გიორის ფეხების პატრონი ხარ ახლა, ვინ მოგაწავა პოლინეთი შე ბენერკო შენა?

— შენ სადღა გ-ქვს ლატერია შე წუწკო?

— აქაო და პატარა ქვეყნიდან გამოგვყარეს, მაგისთანა სიტყვები უნდა გვაკადრო შე ჯავალგო?—შეუტია ბოლოკოსანს ლიტერის ყოფილი სახელმწიფოს ყოფილმა პრემიერმა.

ამას ჩოჩოლი მოჰყვა, ჩოჩოლს მუშტების ტრიალი, მუშტების ტრიალს—ბოლოკოსანი პრეზიდენტის ჯვარილი.

— ბატონებო, რავა ეკადრება თქვენს თანამდებობას მაგფერი ამბები? ავტო მეც ქე ვარ გამოგდებული მთავრობა, მარა პატივსა და ღირსებას არ ვკარგავ; ვარ ჩემთვის ლაქიის თანაშემწედ და ვშოულობ ლუკმა პურს—ჩაერია ვილაცა ჩამოვკნილი კაცი დავაკვირდი და ვიცანი—ეს საქართველოდან ამ ოცი წლის წინათ პანდურნაკრავი მენშევიკი იყო.

— კლოუნები არიან?—შევეკითხე იქვე მდგომ პოლიციელს, რომელიც რეზინის ჯოხით გაეშურა მოჩხუბართა საცემლად.

— არა, კლოუნები რომ იყვნენ, რა უტირდათ?—ცირკში მაინც ექნებოდათ გასაღალი. ჰაერის კაცები არიან.

— როგორ თუ ჰაერის?

— ისე, აღარაფერში გამოსადეგი სიმსუბუქენი, რომელთაც ჰაერი იტაცებს და აქანავებს უაზროდ.

ეს განმატება ზედამოჭრილად მომეჩვენა.

ალბად მთელი ეს ამბავი სასაცილო იქნებოდა სხვა ადგილას, მაგრამ დაშეშულ, გათოშულ და მოღუშულ პარიზში იუდენი ყოფილი მინისტრები ტაკიმასხარობენ, რომ სასაცილოდაც აღარ ღირდა მათი ჩალიჩობა.

ამიტომ ისევ გ-ნავარძეთ მარშრუტი და ლონდონს გაფრინდით.

სიტის სასახლის დანგრეულ დარბაზში მიგვიღეს და მაშინვე გაგვფრთხილეს:

- გთხოვთ ჯენტლმენებო, გასაქცევად მზად ბრძანდებოდით.
- რატომ?
- საბჭოთა ქვეყნიდან ხომ არა ხართ ჩამოსულნი, რომ არ იცოდეთ?
- რა არის ისეთი, რომლის უტოდინარობას გვიკივირებთ,—გულმოსულად შევეკითხე თვითრეტელევილ ლორდა, რომელიც განმარტებას გვაძლევდა.

— რა არის და გაქცევის საკითხი: განა არ იცით, რომ ჩვენ ყოველ წუთობით გავრბი-გამოვრბივართ და შესაძრომებს ვეძებთ? ამ საქმეში მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის ხალხია გამოუცდელი და ჩამორჩენილი.

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ომის ღმერთი,—შემოილაპარაკა ამ დროს ვილაცა თმბაბურძნულმა და ფრაკ-ცილინდრ დაჰმუშუნულმა ჯენტლმენმა. ეტყობოდა მთავრობის კაცი იყო.

— ო, მილორდ, როგორ გეძინათ?—მლიქვნელურად შევეკითხა თვითრეტელევილი.

— ჯანდაბას იყოს ასეთი ძილი, ხუთჯერ გამოვძევრით მე და ჩემი ლედი თავ-შესაფარიდან და ხუთჯერვე უკან შევძევრით, მთელი უბანი დაანგრის ყუმბარებმა.

მაგრამ საქმეზე გადავიდეთ: გამოაცხადეთ პრესაში, რომ ლამე მშვიდობიანად ჩაიარა, არც ერთი ყუმბარა არ ჩამოვარდნილა, ლონდონში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტშია.

— მე უკვე გამზადებული მაქვს მილორდ ასეთი განცხადება.

— ჩინებულთა, განვარძობთ მუშოხას სთხოვეთ ინტერვიუზე მოსულებს.

ამ სიტყვებზე ჯენტლმენის წინ გამოიჭიმა ახალგაზრდა, პირგაპარსული კაცი.

— მე მიინდა ისტორიის გაუფწო სამსახური თქვენის დახმარებით,—დაიწყო მან დისკანტით.

— კეთილ ინებეთ,—მიუგო ჯენტლმენმა ბასით.

— მე მიინდა ზოგი რამ გკითხოთ ინგლისის მშვიდობიანობის შესახებ.

— პირველი კითხვა ახირებულთა: განა არ იცით, რომ მშვიდობიანობა ფრონტზე გვყავს გაგზავნილი?

— რატომ?

— იმიტომ რომ ომი მოვიგოთ.

— რატომ წამოვიწყეთ ომი?

— იმიტომ, რომ მშვიდობიანობა მოვიხვეჭეთ.

— ვინ წამოიწყა ჩვენის მხრივ ომი?

— კიდევ უნდაურს კითხულობთ: სერ ჩემბერლენმა.

— მაშ მშვიდობიანობის მოხვეჭა პირველ რიგში მას ჰყვარებია!

— ჰყვარებია დიალ უთუოდ, ჰყვარებია.

— სად ბრძანდება ახლა?

— როგორ, განა არ იცით, რომ განისვენა სერ ჩემბერლენმა?

— მაშ პირველ რიგში მასვე მოუხვეჭია მშვედობა?

— დიად, დიად მშვიდო...

მაგრამ სიტყვის დამთავრება აღარ დასცალდა, სირენებმა განგაში ასტეხეს, ქვევით ავღუგუნდა. ცოტა ხანიც და ყუმბარების აფეთქებამ მიწა შესძრა.

— არიქა ჯენტლმენებო,—თავშესაფარებისაკენ!—გადმომძახა პატივცემულმა მილორდმა და ორსეა დაჩაზი დაღარიღდა. ექვცოტა ხანს შევიცადე და უკან განვებრუნდი, რადგან ჩემი ინტერვიუ, რომელიც მესაჩედ იყო დაწინააღმდეგ, მაინც არ შესდგა მასთან.

გადაწყვეტე შენაზა
მე ქალაქი თელავი,
სადაც ბევრი საკბილო
მყავდა მოსათელავი.

მივაშურე სალაროს,
სადაც იდგა მილეთი,
და გამიკრა ილბალმა,
შევიძინე ბილეთი.

ბილეთი და როგორი?
რბილ ვაგონის, პლაცკარტით.
სიხარულით შევხტი და
ბაქნისაკენ ავჩქარდი.

მივაშურე რბილ ვაგონს.
ვაგონს ნომერს მეხუთეს,
კიბეზე მდგომ კონდუქტორს
გულზე გადავვხუტე.

და მან თავაზიანად
კუბე რამისახელა,
და ჩემს გულა-ნაბადით
მივაშურე მას ხელად.

გულში ვფიქრობ: გავწვები
იქ ფაფუკად, ხელადა,
და ვიძინებ დილამდი
მშვიდად, უდარდელადა.

მაგრამ ოთხადგილიან
კუბეს რომ მივადექი
უნებურად შევკრთი და
კარებთანვე დავდექი.

ლეღვამ მოიცვა უცებ
ჩემი ოცნიბა მშვიდი,
რადგან იქ სამის ნაცვლად
მგზავრი დამიხვდა შვიდი.

რევიზორიც მოვიდა,
კომპოსტერით — ნარიმან
და იმ შვიდში მან მხოლოდ
ერთი დააჯარიმა.

თან დატოვა კუბეში
(რაკი ხარჯი გაწია,
და ჯარიმა უბოძა,
ხათრი დასდო „პაწია“)

ნავთლულში რომ ჩავედით
თბილისიდან გასული,
ოთხის საწოლ კუბეში
ჩვენ ვიყავით რვა სული.

ნავთლულში ჩვენს კუბედან
ერთი მგზავრი გავიდა,
და იქვე დერეფანში
შეეხეჩა მამიდას.

გამყოლს „რაცხას“ დაპირდა,
თვალი უყო მაკრინეს,
და მამიდა კუბეში
ხელად შემოაფრინეს.

მოგვემეტა მაკრინეც
ეპრაქსიას ასული,
და ამრიგად კუბეში
ჩვენ აღმოვჩნდით ცხრა სული.

თბილისი—თელავი მძღუჯა



— წარმოიდგინე, გუშინ შევხვდი აწ განსვენებულ და განცხრომაში მყოფ ალის-ტრაზოს და . . .

— როგორ თუ განსვენებულს: იგი ხომ ამას წინათ მოეწყო ლუდის გამყიდველად!

— ჰოდა, იმიტომ არის განსვენებულიც და განცხრომაში მყოფიც! . . .

ჰოვზი კლასიკოსი




— მე უნდა წავიკითხოთ ჩემი ახალი ლექსი!


— აბა წავიკითხოთ.

— „... აღმართ აღმართ მოვდიოდი მე ნელა
სერზე შევდექ...“

— ეს ხომ აკაკი წერეთლის ლექსია!

— აბა თქვენ რა გგონიათ! მე სულ კლასიკოსების ლექსებს ვწერ. მამ ჩიბურდა-ნელის ლექსებს ხომ არ დავსწერ?





ბიკენტი ყვინთაძე შეტად მკაცრი მესაიდუმლეა. მას შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენი ყოველგვარი საიდუმლოება. დარწმუნებული იყავით, ის არავის არაფერს ეტყვის.

უნდა ითქვას კი, რომ ამავ დროს ბიკენტი დიდად ცნობისმოყვარეა.

— მერე, მერე... მითხარი კაცო, რას მიმალავ — მოუთმენლად შეესიტყვება ბიკენტი თავის მესაუბრეს. — ხომ იცი რასაც მეტყვი ჩვენ ორში დარჩება. ენის მიტან-მოტანა მეჯავრება.

— არა, ვერ გეტყვი. შენ ვისმესთან წამოგცდება.

— შენი კუბო დამედგას, თუ ერთი სიტყვა ვსთქვა სადმე.

— აბა დაიფიცე!

— გეფიცები მეზობლის ცოლზე. აქვს ენის ხომ იცნობ შენ, ჩემი მეზობელია. მისი ცოლზე დამეზოცოს თუ გაცე. არ გრცხვენია კაცო რომ ასე მაფიცებინებ?

— აბა კარგი, გეტყვი. ჩვენი დირექტორის წინააღმდეგ განცხადება მაქვს შეტანილი პროკურორთან.

— მერე მაგას მიმალავდი კაცო?

— არსად წამოგცდეს, არ დამლუპო.

— ჩვენ ორში დარჩება, მაგის დარდი ნუ გაქვს.

— იმავე საღამოს ბიკენტის თავის მეზობელ აქვსენტისთან წამოსცდება პროკურორთან შეტანილი განცხადების შესახებ.

— ვინ შეიტანა განცხადება?

— არა; მაგას ნულარ მკითხავ, ენის მიტან-მოტანა მეჯავრება. მაგრამ შენ რაღა დავიძალა. გეტყვი, მხოლოდ ჩვენ ორში უნდა დარჩეს. არავისთან წამოგცდეს.

— მაგის იმედი გქონდეს, არავის ვეტყვი.

— აბა კარგი, გეტყვი. ჩვენს დირექტორს უჩივლა პროკურორთან სილიბისტრომ. მეცოდება ეს უხედური, რომ გაუგოს პროკასავით მოაძრობს... მაგრამ თუ ძმა ხარ, არსად წამოგცდეს. ჩვენ ორში უნდა დარჩეს.

დილით ბიკენტი ამბერკის უყვება შეტანილი განცხადების შესახებ.

— პირდაპირ პროკურორთან უჩივლა. დიდი განცხადება გააშანშალა და პროკურორს შელიქა... ბიჭო, ღმერთი არ გაგიწყრეს, არსად წამოგცდეს... რაც გითხარი ჩვენ ორში უნდა დარჩეს.

შემდეგ ბიკენტი ბარნაბას შეხვდება.

— ჰო, კაცო, რით ვერ გაიგე, საჩივარი შეუტანია პროკურორთან... შენ ბიჭო, როგორღაც ისე იცქირები რომ ამ ამბავს მთელ

ქალაქს მოსდებ. ღმერთი არ გაგიწყრეს. ჩვენ ორში უნდა დარჩეს.

— შე კაი კაცო, რაღა უნდა დარჩეს ჩვენ ორში! ეს ამბავი მე გუშინვე შეიტყვე და აქვსენტისათვის აქვსენტის უამბნია და აქვსენტისათვის მგონი შენ გაგინდვია!

— მაგ კორიკანა ვირთავას მთელი საათი ვეჩიჩინე არავისთან წამოგცდეს, ჩვენ ორში დარჩეს-მეთქი და ასე შეინახა საიდუმლო?! რამ წაართვა ამ ხალხს ნებისყოფა...

ბიკენტი, დაღონებული ზოგი ადამიანის სუსტი ნებისყოფით, შეხვდება თუ არა ნაცობებს შესჩივლებს:

— პირდაპირ ველარავის ენდობი კაცი. ამას წინად აქვსენტის ვუამბე სილიბისტრომ განცხადება შეიტანა პროკურორთან, -მეთქი. დავანამუსე არსად წამოგცდეს, ჩვენში დარჩეს-მეთქი. ამდგარა და ქვეყნისათვის მოუღვია ეს ამბავი... თქვენ მაინც არსად წამოგცდეთ, ჩვენში დარჩეს თუ ძმა ხარ... არ მინდა ვინმემ გაიგოს...

ასეთი მესაიდუმლე ბიკენტი ყვინთაძე. არ უყვარს საიდუმლოების გაცემა და ვისაც კი რაიმეს უამბობს, სულით და გულით სთხოვს ჩვენ ორში დარჩესო.

— ჩვენ ორში დარჩეს, თუ ძმა ხარ არსად წამოგცდეს. — დაწებირებული აქვს ბიკენტის.

— საცოლესაც კი ასეთი ალერსით მიმართავს ბიკენტი;

— ახ, ქეთო, მიყვარხარ ჩემო ძვირფასო... არსად წამოგცდეს. გენაცვალე, ჩვენ ორში დარჩეს!

— შემდეგ მეგობარს მოუყვება:

— იცი. გუშინ ქეთოს ვაკოცე, ცეცხლია, პირდაპირ ცეცხლია... თუ ძმა ხარ არსად წამოგცდეს. ჩვენ ორში დარჩეს, თორემ თუ ქეთომ გამიგო მიმატოვებს.

— შე კაცო, ეგ როგორ წამომცდება. მაგის დარდი ნუ გაქვს... იმანაც გაკოცა?

— ე, ახლა დაიწყებ გამოკითხვას. რატომ ხარ კაცო ასე ცნობისმოყვარე?... ვინ გეკითხება ახლა შენ მაკოცა თუ არა... წამოგცდება ვინმესთან.

— ენდე ჩემს ცნობისმოყვარეობას.

— აბა კარგი, იმანაც მაკოცა და მთხოვა ჩვენ ორში დარჩესო.

— დარჩეს, ძმაო, თქვენ ორში. რა მაქვს საწინააღმდეგო!

— შენ რაღაც გადაკრულად ლაპარაკობ! ღმერთი არ გაგიწყრეს არსად წამოგცდეს, ჩვენ ორში დარჩეს.

ბიკენტის სხვა მეგობარი შეხვდება გზაში.


— ბიკენტის ვახლავარ! — მიესალმება იგი.

— გაგიმარჯოს! თუ ძმა ხარ არსად წამოგცდეს. ჩვენ ორში დარჩეს...

ძვირფასო მკითხველო, მეც გთხოვთ არსად წამოგცდეთ ბიკენტი ყვინთაძის შესახებ. ჩვენ ორში დარჩეს

სწოკი ანგარიში

ნახ. გ. ისაევისა




— ამხანაგო თქვენ მგონი მეტს მახდევინებთ, ანგარიში სწორი არ იქნება!

— როგორ არა, მაგრამ რაც სწორია — ის ხომ საღაროს უნდა ჩავაბარო.


გენო ლიპაძე




1. იყო კომპოზიტორი ერთი — გამწვარი ნიჭი. მთელი ქვეყანა „მოიარა“ ყველა კომპოზიტორს ასთაქა რამდენიც შეეძლო, და მოსაპარავი რომ ამოიწურა მიეცა საგონებელს.



2. ამ კომპოზიტორს ჰყავდა ერთი ბავშვი — სახელად მამისთვალი. მამისთვალი მუსიკას ეტანებოდა და, რომ იგიც ამავე ხელობის არ გამოსულიყო: არახოდეს არ უშვებდა მამამისი თავის სამუშაო ოთახში.




3. მაგრამ ცნობის მოყვარეობამ ყველაფერს დასძლია და მამისთვალი ქურდულად ხშირი სტუმარი ხდებოდა მამამისის სამუშაო ოთახისა.



4. და მამის შიშის წინააღმდეგ მამისთვალიც კომპოზიტორი გამოვიდა. „შვილი მამას ჰგავს“ — იტყვიან ხოლმე და მამისთვალი, სხვა რომ არავინ იყო გახატული მამამისის ძარცვას ეწეოდა.




5. თითქმის ყველაფერი ასთაქა მამისთვალმა მამამისს. და მამისთვალი ფიქრი არც მას მოეშვა; „რა უნდა ვქნაო, — ფიქრობდა იგი, — ჩემი შვილიც რომ კომპოზიტორი გამოვიდესო“.



6. დიდი ფიქრის შემდეგ უეზარ საშუალებას წააწყდა მამა-შვილი: მოგლიჯეს კედლიდან სატრანსლაციო ქსელის ხმამაღლა მოლაპარაკე, მიუტანეს ბავშვს ყურთან და ნიშნს უგებდნენ:

— ესეც შენ, კიდევ გამოხვალ კომპოზიტორი?!



1890 წელს, სოფელ ტურაქვანგის მცხოვრებმა, სოლომონა ყვავიშვილმა ცოლად შეირთო აზნაურ ტლინკაძის „უკანონოდ შობილი“ ქალიშვილი. ეს მან ჩაიდინა თავის ბებუის ტახტის აზნაურის ფეფიკო ღრიკილოშვილის ქალის რჩევით.

ფეფიკოს სოფელში გამოჩენილი ტყუპი ღერს ეძახდნენ, მაგრამ სოლომონას უყვარდა თავის ბებია და ყურადღებით ისმენდა მის დარიგებებს რაც მას ბრძნულად მიაჩნდა. მაგალითად, ფეფიკო ხშირად ეტყოდა თავის საყვარელ შვილიშვილს:

— „შუქი გეცეს შვილო დიდი გორისაო!“ — ეს ნიშნავდა, დიდი გვარის შთამომავლებთან დაკავშირებას, თუნდაც ისინი მხოლოდ აზნაურის წარმომადგენლები იყვნენ თავის გავლენიან წინაპრებისაო.

ამის გავლენით იყო, როგორც ზემოთ ვთქვით რომ სოლომონამ აზნაურ ტლინკაძის „უკანონოდ შობილი“ ქალიშვილი შეირთო ცოლად და აგრეთვე ისიც რომ თავის ბავშვებს სულ აზნაურებს ანათლინებდა; უმცროსი შვილის ნათლია კი თითონ, მისი ბრწყინვალე თავადი კუჭიკო ბრიგელაძე ბრძანდებოდა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, შეგოტრების გამო ცხენოსან პოლიციაში უბრალო სტრატეგიად დადგომა ეკადრებოდა და ურიადნიკად გახდომასაც იცნებებოდა. კუჭიკოს შესახებ სოლომონი ამბობდა: სულ რომ ძალიან კუდილი მიათრევდეს, მაინც თავადიშვილიაო და ამაცობდა მისი დამოყრდნობით.

სოფელში სოლომონას ჩინებული სახლკარი ჰქონდა, მას ხუთი თვალი ოდა ედგა მაღალ ქვის სვეტებზე შეყენებული და კრამიტით გადახურული.

მისი სიმდიდრის წარმოშობის შესახებ გავრცელებული იყო ხმა: ვიღაც ყაჩაღებმა სოლომონას ერთი თუნგი ოქროს ფულები ძიებარესო, მერე ის ყაჩაღები ჩამოაბრჩესო და ფული სოლომონას დარჩაო.

ამ ამბავს განსაკუთრებით ავრცელებდნენ სოლომონას მეტოქე მევაშეები, რომელნიც ემტერებოდნენ იმიტომ, რომ სოლომონა შედარებით ზომიერად აძრობდა ტყავს თავის მოვალეებს: ის თუმანზე ერთ აბაზის მეტს არ იღებდა, მაშინ როცა სხვა მევაშეები ხშირად ორ აბაზსაც არ ჯერდებოდნენ. ამ მხრივ მას ხალხი კიდევ აქებდა, მხოლოდ არ მოწონდათ მისი კუდაბზიკობა და მისი მოყვრები, განსაკუთრებით ევაზერბოდათ კუჭიკო ბრიგელაძე რომელიც ცოფიანივით დასდევდა ახალთაობის კაცებს და მზად იყო ურიადნიკობის მიღებისათვის მთელი ქვეყანა აეწიოკებინა.

1904 წელს თავად კუჭიკოს მეფის მთავრობამ დაუფასა თავდადებული შავრაზმული მოღვაწეობა და მან მიიღო ვერცხლის მედალი და ურიადნიკობა.

კუჭიკოს თავისმა უმფროსმა ბოქაულმა და სხვა ძმა-ბიჭებმა მოსთხოვეს მავარიჩი გადაეხადა. ახალ ურიადნიკს ბევრი აღარ უფიქრია: თავის ნათლიმამა სოლომონა ყვავიშვილს მისწერა ბარათი, რომელშიც ულოცავდა, რომ შენი შვილის ნათლია ახლა მენდლიანი ურიადნიკი არისო და აგრეთვე აცნობებდა, ამ შემთხვევის გამო შენსა მოგდივართ საქეფოდ და ერთი ათი-თორმეტი კაცი მომყვება თან სულ ყველა დიდკაცობაო.

მეორე დღეს სოლომონას კარზე მიაღდა ოცი ცხენოსანი სტუმარი, მათ შორის უმრავლესობა პოლიციელები იყვნენ, სხვები უქნარა აზნაურები და წვრილი მოხელეები. სოფელში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა; მაგრამ საქმე შედარებით მშვიდობიანად დამთავრდა პოლიციელებს გარდა თავის მასპინძლისა არავინ აუწიოკებიათ.

მხოლოდ მეორე დღეს დილით. როცა მთვრალეები უკან ბრუნდებოდნენ, ერთი სამღვდლოდ წამზადილი ახალგაზრდა დიაკონი შეეფეთათ გზაზე. დიაკონს რომელიც მალე მღვდლად კურთხევას აპირებდა, თმები მოშვებული ჰქონდა. ბოქაულმა ის ახალთაობის კაცად მიიღო, რადგან იმ დროს ზოგიერთი ახალთაობის კაცები მართლაც ატარებდნენ გრძელ თმებს. დიაკონმა ბევრი უმტიცა რომ არ უთანაგრობდა ახალთაობას, მაგრამ ბოქაულმა არ დაუჯერა, მოატანინა თავის მხლებლებს მაკრატელი და თავის ხელით შეკრიჭა სამღვდლო კაცი.

ეს გარემოება სოფელში არავის სწყენია, კიდევ ესიამოვნათ და შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში იცინოდნენ ამის გამო.

მაგრამ სოლომონას მაინც არ აპატიეს ხალხის შეშინება და სოფლის ოხუნჯმა ახალგაზრდებმა გადასწყვიტეს სამაგიერო ფეთება ეჩვენებიათ მისთვის.

მეორე საღამოს სამი თავპირშებვეული კაცი ეწვია სოლომონას და ერთმა მათგანმა განუცხადა:

— ჩვენ არგანიზაციიდან ვართ. გაფრთხილებთ თუ შავრაზმელებთან კავშირისათვის თვე არ დაგინებებია, ცუდი დღე დაგადგებაო.

— ძმებო და აფხანიკებო, — დაიწყო შეშინებულმა სოლომონამ, — ცოლშვილს გეფიცებით, რომ დიდი პატივისმცემელი ვარ თქვენი არღანიზაციის, თქვენი ახალთაობის. წმინდა გიორგიმ მომტეხოს კისერი, თუ მე ის ოხრები დამეპატიებინოს, მისით მოვიდნენ და ამიფორიაქეს ოჯახი, ახლა მე ხომ ვერ გავუმკლავდები იმდენ შეიარაღებულ კაცს, ისე ღმერთმა იცის დაჩოქილი ვეხვეწებოდი ბოქაულს და ურიადნიკებს ჩემი ოჯახიდან რომ გადახვალთ, არავის არაფერი აწყენიოთ მეოქი.

თქვენ და თქვენი ღმერთი ბიჭებო, ახლა ნუ დამლუპავთ და ამას იქით თუ რაიმე ჩავი-

დინო ახალთაობის არღანიზაციის საწინააღმდეგო, რაც გინდა მიყავით.

მეორე დღეს, საღამოს, როცა სოლომონა სოფლის დუქანთან თავ შეყრილთ გაერია, ერთი გლეხი ეშმაკურად შეეკითხა მართლა თუ იყვნენ შენთან თავპირშებვეული კაცებიო და სახლის დაწვას თუ დაგემუქუნო.

სახლის დაწვის შესახებ თავპირშებვეულებს არაფერი უთქვამთ, მაგრამ იმ გლეხის ეშმაკურმა შეკითხვამ სოლომონას თავზარი დასცა. გაიფიქრა მართლა, რომ დამიწვან სახლი რაღა მეშველებო.

— ვის რას ვუშავებ კაცო, რატომ უნდა დამიწვან სახლი, თუმცა რომ დამიწვან თვითონ მე ზარალში კი არ ვიქნები, დასტრახული მაქვს, შენს ძმობას გეფიცები და რაც ღირს ათ იმდენს მაინც მივიღებ, მარა ხალხია ცოდვა, — სტრახოვი ობჩესტვა ხალხს უჩივლებს და გადაახდევინებს ზარალს.

— დამსწრე ხალხს სოლომონას ტყუილი არ დაუჯერებია, მიხვდნენ განგებ მოიგონა სახლის დაწლევამ, რადგან ეშინია მართლა არ დამიწვანო, მაგრამ თვით სოლომონას ძალიან მოეწონა ეს თავისი ტყუილი და იმ დღის შემდეგ ყველგან გაიძახოდა სახლი „დასტრახული“ მაქვს და რომ დამიწვან გავკეთდებო. ამას ყურს უგდებდა სოლომონას ბებია ფეფიკო და ფიქრობდა ნეტავი დაწვადნენ ჩვენ სახლსო, მაგრამ მისდა სამწუხაროდ სახლს არავინ წვავდა.

გავიდა ხანი. ერთი შემოდგომის საღამოს. როცა სოლომონას ოჯახის წევრები ყველანი მეზობლისას იყვნენ ქორწილში და სახლში მხოლოდ დედაბერი ფეფიკო იყო, უცებ გაისმა საშინელი წივილ-კივილი. გაიხედეს და დაინახეს, რომ სოლომონას ოდას ცეცხლი ებრიალებოდა და დედაბერი ფეფიკო საცვლების ამარა ეზოში დაწვრილებდა და ჰკიოდა. ფეფიკოს კივილს სოლომონას ყვირილიც მიემატა, აზღრილდა მისი ცოლშვილიც, შეიქნა ზარის რეკა, მთელი სოფელი გამოვიდა ხანძრის ჩასაქრობად მაგრამ ოდიდან ნივთების მხოლოდ მცირე ნაწილი გადაარჩინეს და სამზარეულო სახლი და სხვა ნადგამობა დაიცვეს ხანძრისაგან. თვით ოდა კი სავსებით დაიწვა.

როცა საქმე მოთავდა, გარეშენი წავიდნენ და სამზარეულო სახლში მხოლოდ შინაურები დარჩნენ, ფეფიკომ უცებ გადიხარხარა და სოლომონას მიულოცა:

— ხა-ხა ხა... შვილო, ახლა ხომ გაკეთდები, მტერს თვალი დაეცემა, ეს მე მოვახერხე შვილო ხომ კარგი ვქენი? შენ გენაცვალა ჩემი თავი. — ლულულულებდა გამოჩენილი ტყუპი ღერის დედაბერი, მაგრამ გაოგნებულ სოლომონას აღარაფერი ესმოდა.

მზეთუნახავ ქალთა ქება,
ბევრჯერ თქმულა წარსულ დროსა;
უმღეროდენ მეჩანგენი,
მათ იღბლიან საწუთროსა,—

ზოგი ბროლის კოშკში იჯდა,
ზოგს მთა ედო სამკაულის,
მაგრამ ყველას იტაცებდა
სამიჯნურო სასწაული:

იბარებდნენ რაინდებსა,
ზმების ახსნას შეუკვეთდნენ,—
და მათ შორის დამარცხებულს
კოშკისათვის თავ მოჰკვეთდნენ.

ეს წარსულში... მაგრამ დღეს კი—
სილამაზე არ გავწამს განა?
ერთ ჩემს ნაცნობს სატრფო ჰყავდა—
რომ არ თქმულა—იმისთანა.

ერთხელ სატრფომ, იმ მიჯნურთან
თავი მოიჯინიანა,—

უთხრა. — გეტყვი და ამისგენ
ექვსიოდე გამოცანა, —

გამოიცნობ, ხომ რა კარგი,
თუ არა და, გეტყვი სწორსა:
სხვას გავუყვარი და „უზავსოდ“
მიგატოვებ გულის სწორსა.

დაეთანხმა მიჯნური და
დრო დანიშნეს იქვე ხელად:
მეორე დღეს გამოცხადდა
ვაჟი, ზმების ასახსნელად:

ქალმა უთხრა: — ის ვინ არის—
განმკვრეტელი ცათა ზღუდის,
ვინც რ მ ხშირად „ანს“ იტყვის და
ზოგჯერ „ბანი“ გამოუდის?

ვაჟი ჩახდა საგონებელს,
ფიქრთა ზოვაში გადაყარდა,—
და სხვა ვერაფერი უთხრა
მას პასუხად ამის გარდა:

— ქალო. შენი გამოცანა
ორაზროვან ამბით ს გეს,
მე, ჩვენ ამინდის ბიუროს
ბიულეტენს მივამსგავსე,
(ის ხომ ხშირად თოვლს გვებრდება,
მაგრამ მზე კი გვაქერს თავზე!)

— ის ვინაა, — უთხრა ქალმა, —
ვის სიტყვაში მაინც არ ცხავს? —
ვინც რომ ხშირად შენს წაღმა ხნულს
მთლად უკუღმა გადაფარცხავს?

— ადვილია, — შე გება
მას პასუხი ვაჟმა სწრაფი,—
მაგ საქმეში ოსტატობას
იჩენს ჩვენი ტელეგრაფი:
(ძმას მივსწერე: „დაზნედი სწრაფად“,
მას გადასცეს: „გაგზიდი გრაფი“!)

ქალმა უთხრა: — რა ძალაა,
შავს თეთრად რომ გადაქცევს,
თუ დასჭირდა, ცილა-კაცსაც
იაღბუხზე მაღლა აგწევს? —

— ვაჟმა ჰკადრა: — თუ ვერ მივხვდე,
დასახრჩობად წყალმა მრიკოს:

ქალო შენი გამოცანა
პროტექტია უნდა იყოს, —
(პროტექტით არ არის, რომ
თავი გააქვს ჩვენს აბრიკოს?)

— რაგინდ რთული გამოცანა
არ გითხარი, ახსენ მაინც.

მაშ ამაზე მიპასუხე, —
უთხრა ქალმა თავის რაინდს;

ის რა სულიერი არის,
ვის სისწრაფეს იცნობს ყველა,
მაგრამ როცა დაუძახებ,
შენსკენ მოდის ისე ხელა,



— რომ დაგიმტკიცოთ ჩემი სიყვარული, ამ ხიდიდან წყალში გადავვარდები.
— ნუ იზამთ მაგას, ჩემი გულისთვის თავი რათ უნდა დაიხრჩოთ?
— თავს რათ დავიხრჩობ, მშვენიერი ცურვა ვიცი.

რომ ას ნაბიჯ მანძილზედაც
იმღენს ელი და ბეზრდები, —
რომ ყმაწვილი თმახუჭუჭა,
მის მოსვლამდე დაბერდები?

ვაჟი აქაც არ დაფიქრდა.
პასუხისთვის დრო არ სთხოვა. —
— ეგ სასწრაფო დახმარების
აგტოაო — სიტყვასთხოვა:
(ფეხს მოიტეხ, გამოიწე ეგ,
როს მორჩები — მერე მოვა!)

— მოსწრებული გონება გაქვს, —
ვაჟს შე სხა ქალმა ქება,
მაგრამ ახლა რასაც გეტყვი —
გმართებს კარგად დაფიქრება:

რა ხეხილი არის იგი,
ხილს რომ ისხამს ყოველ დღესა,


თვით ხეხილი პატრონს რჩება,
ნაკოფი კი — მებაღესა?

— ნურც მაგას სთვლი რთულ იგავად, —
უთხრა ვაჟმა მოტურებით, —
ეგ ხომ, ჩემო თვალსჩინო,
ხალტურაა შოფერების?
(განა კიდეც არა გვეყვანან
ჩვენ ხალტურის „ობერები“?)

ქალმა უთხრა, საკამათოდ
აწ მეტს აღარ აგვეუბო, —
რადგან ასე გაიმოჯგე,
„ზავსშიაც“ კი წავყვებიო.

ამის შემდეგ იმედებით
ვაჟი მგზნებარ გულს იყუჩებს.
და, უკოცნის მზეთუნახავს
„ტემეს“ კრემით ნაგლეს ტუჩებს.

თ ა რ ს ი



ცხოვრებულ ბებიამეებს ბევრჯერ დაუბრუნებია:

— არ შეცდებ შეილა და მაგ „პოეზიას“ არ შეახტე, თვარა ზეზე შეგასტკვლიცავს სადმეო.

მართლაც, რკინიგზის რომელიმე გადასარბენზე თუ რამე მოხდებოდა, იმ წუთში გავითვალისწინებ ცხოვრებულ ელცაბედის ანდერძად დატოვებულ დარბაზს, მაგრამ მაპატივებს ალბად განსვენებული თუ მის რჩევას საკმაოდ შეფასება ვერ მივეცი. რას იფიქრებდა ბებიამე, რომ მისი შვილიშვილი ლადიმერა მატარებელსაც უარს ეტყობდა და გასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავს შეახტებოდა.

სოხუმში ერთი ნათესავი მომიკვდა. — „დალოცვილმა“ ფოსტალიონმა კი 4 დღის წინ გამოგზავნილი დეგვამ სწორედ იმ დღეს მომიტანა, როცა ბიძაჩემს ილარიონს ასაფლავებდნენ. გუნებაში ვთქვი.

— ნათესავ-კეთილშობილს მთავარი ბირთვი სოხუმში გყავს ბიჭო ლადიმერა, თუ არავის გაატან კურცხალს, არც შენთვის შეიწუხებენ თავს მეთქი.

ამრიგად თავისთავად გადაწყდა ჩემი გაფრენის საკითხიც.

უკვე აეროდრომზე ვარ, ავიღე ბილეთი და მგზავრებისათვის გადმოვიღე კიბეზე შევეცი ჩქარი ნაბიჯით. მალე თვითმფრინავში რბილ სავარძელშიაც წამოვიკიე, გაფრენის წინ ჩამოვიარა მფრინავმა და მაგრად მიმება სავარძელზე.

— ამას რას შერებო? — წამოვიძახე ცოტათი შეშინებულმა.

— ნუ გეშინია, ეს ისე... რომ თავით არავის შეეხეთქო; მომიგო მან დინჯად. ისე ამიტანა ჯრუანტელმა, რომ მართლაც დასაბმელ ადამიანს დავემგავსე:

თვლები გამილურჯდა. მუხლებმა კანკალი დამიწყო, გულმაც ისე წამოლუშინა მუშაობას, თითქოს ეს არის, უნდა ამოვარდეს ბუდიდანო.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ზურგზე უხარმაზარი ჩანთა წამოვიკიდეს.

— ეს რაღა? ვკითხე ჩემი ბედილბალის მეპატრონეს.

— ეს ისე... ყოველ შემთხვევისთვის... საჭირო რომ გახდეს, გადახტები და თავს უშველიო.

— მაშ ეს პარაშუტი ყოფილა!

— სწორედ პარაშუტია, ხომ არ გეშინია!

— ვისა, მე? რისა უნდა მეშინოდეს? გინდა ახლავე გადახტე.

— ახლა არა, პარაშუტით ჭაერში ფრენის დროს ხტებიან ხოლმე, — მომიგო მან ისევ დინჯად.

არა თქვენ ჩემს გმირობას უყურეთ: იმდენი მოხერხებაც კი შემჩნა, რომ ვიგრძენი, როგორ მიცემდა გული. წარმოიდგინეთ, ნერწყვიც კი გამიშრა და მფრინავს ძლიერ გასაგონი ხმით მივმართე:

— ბოდიში, მე მიცვალეზულის დასამარხავად მივდივარ, პარაშუტისთვის არა მცალიან მეთქი.

გალურჯებული თვალებით დავინახე, რომ მას ირონიულად გაეცინა არა მარტო მას, არამედ გვერდში მჯდომ მგზავრებსაც.

როგორც იყო ერთი სიტყვა კიდევ დავაწიე და მოვითხოვე რომ ჩავეფი ძირს, რაზედაც მოკლედ მიპასუხა;

— ეხლა უკვე გვიანია, მოტორი ამუშავებულია და ორ წუთში ჭაერში ვიქნებითო.

თავს ძალა დავატანე დამშვიდებლად შევეცადე, რომ მგზავრებს სიცილი არ დავწყო; უკვე ჭაერში აფრენის დროს მოხერხებულა სიომ ცოტათი თვლები გამიხილა. მოხვავდა და მოხვავდა საშინელი ფიქრები.

ამ ფიქრებში რომ ვარ, უცბად ძირს გადმოვიხედე, უკვე ქალაქ გორის თავზე ვიყავით, უცბე ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა. რაც ძალი და ღონე მქონდა ვიყვირე:

— გვარდები, მიშველეთ მეთქი—და უცბად მოვიხარე პარაშუტის დილზე ხელის დაჭერა. იმწამსვე გაიშალა ჩემი პარაშუტი და წამოვფარა მგზავრებს თავზე. ამ დროს თვითმფრინავმა გზა ისწორა და პირველი ხიფათი აცილებული იქნა თავიდან.

— რას ყვირი მოქალაქე, ხამი ხომ არა ხარ? — ეს ჭაერის ორმო იყო და გავიარეთო, — ჩამომძახა ვილაყამ.

მართლაც ხამი უნდა იყოს, დაკეცეთ პარაშუტი, — იძახდა ვილაყა და თან ცდილობდა ჩემი პარაშუტის ქოლგიდან გამოსრომას.

ასეთი ორმოები ოცამდე მაინც შეგვხვდა და მეც ოცივეჯერ ავადფორიაქე იქ მსდომნი.

ერთის სიტყვით, დიდი სირცხვილი და უსიამოვნება შემხვდა ვიდრე პარაშუტს დავკეცავდით.

გადაუფრინეთ ხარაგაულს, შორაპანს, ზესტაფონს რიონს. რიონს რომ გავცილდით ცოტათი გულზე მომეშვა და ვთქვი:

— აწი თუ გადავარდები, აღარ დავეძებ, სწორე მიწაზე მაინც დავეცემი მეთქი.

როცა ოჩამჩირეს ფარგლებს გავცილდით და დავინახე თავზე ვიყავით გამოკიდული, ხელის გულივით გამოჩნდა ჩემი სოფელი. ამ სოფლის მიახლოვებამ ისე ამიჩუყა გული, რომ მფრინავს ხმამალა შევძახე:

— თუ ძმა ხარ, გააჩერე თვითმფრინავი უნდა ჩამოვხტე მეთქი, მაგრამ ჩემი თხოვნისათვის არავის ყური არ უთხოვებია. თანაც გუნებაში ვიძახი:

— ოი, ფოსტალიონო, თუ ჩამოვედი თბილისში, შავ დღეს დაგაყრი იმ დეპეშის დაგვიანებისათვის მეთქი.

სოხუმს რომ მივუახლოვდით, თვალზე სინაოულის ცრემლები მომადგა. ერთმა მგზავრმა ეს შენიშნა და მანუგეშებელი კილოთი მითხრა:

ყმაწვილო, ნუ თუ ასე გოყვართ ბიძაქვენს, როდეს ამდენს სტირითო?

უკვე აეროდრომზე დავეშვით. მიწაზე ყველაზე წინ მე ჩამოვხტი და იმ წუთში საყვავილე მალაჩისაკენ მოვესუსი. ბიძაჩემს ილარიონს ერთი კაი თაიგული ვუყიდე და მის ცივ ცხედართან ჭირისუფალმა შესაფერი ტირილი გავაბი.

— ბიძა ილარიონ; რა დაგიშავე, რომ შენ—ერთხელ მოკვდი და მე დღეს ოცჯერ მომკალი მეოქი?

მაგრამ ეს იყო დებიუტი, მეორე დღეს ჩემს თავს თვითონ ვარცხვენდი:

— არ გცხვენია ბიჭო, ლადოია? ჩვენში ახლა კაცს თვითმფრინავში ჩაჯდომის რომ შეეშინდება, ის რა კაცია? აწი მე ვიცი რა დღეს დაგაყენებ: კვირაში ერთხელ მაინც ჩაგაჯენ თვითმფრინავში, გადმოგახტუნებ პარაშუტით და სანამ რეკორდსმენი არ გახდები, კაცად არ ჩაგთვლი ქვეყანაზე მეთქი.

ამ პირობას ახლა პირნათლად ვასრულებ კიდევ.

ქვემოთ

მოქმედება

ნახ. გ. თოიძისა.



— რას კითხულობ ასეთი მოწონებით?

— პოეტ ცხვირბაძის ლექსების წიგნს.

— მერე, ასე გაგიტაცა?

— არა, ლექსები, კაცმა რომ სთქვას, უხეიროა, მაგრამ ქალადლი მომწონს: იშვიათ ქალაღღზეა დაბეჭდილი.



რუსთაველის პროსპექტზე აუარებული ხალხი იყო. მე, რაიონიდან მივლინების გამო ჩამოსულს, მიხაროდა მორთული ხალხის ცქერა. ვიდრე და ვტყებოდით, მით უმეტეს, რომ ჩემი საქმე უკვე გადაკეთე.

უცებ ჩემს სკოლის ამხანაგს ელიოზა უნდოდა მთელი თვალი. მან შემომხედა, ჯერ შეეცადა ისეთი პოზიციით, თითქმის ვერ მამჩნევდა, შემდეგ თითქმის ვერ მიცნო, მაგრამ ბოლოს შედგა, არტისტულად დამაკვირდა, და მხურვალედ ჩამომართვა ხელი.

— თამაზს ვახლავარ, თამაზს! — საიდან, როგორ? — ჩამეკითხა ის განგებ დაბოხებული ხმით.

— რაიონიდან ჩამოვედი.

რაიონში მუშაობ? — ოდნავი ქედმაღლობით მითხრა. — რა უშავს. რა თანამდებობაზე ხარ?

აგრონომი ვარ, მეხილეობის სპეციალისტი.

— რა ვუყოთ, თავის ადგილზე ხილიც კარგია... შენ ალბათ წაგიკითხავს ჩემი „ატმის ყვავილები“ და „დახუნძლული ხაბურძაკები“.

— როგორ, ელიოზა, შენ წასაკითხავი გაგიკეთებია რამე? მე კი მითხრეს კვლავ უსამსახუროდ არისო.

ელიოზას ეწყინა.

— ვითომ არ იცი, თამაზ... ჯერ ერთი, რომ მე ელიოზა არა ვარ და თან — არც უნდოდა. ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმია ელიოზა უნდოდა... შემდეგ — მე უკვე მთელი საქართველო მიცნობს როგორც ახალგაზრდა პოეტს ჩემის ანგარიშით, მთელმა ქვეყანამ იცის ჩემი პოეტური მიღწევები.

ჯიბიდან დაქუთუნული გაზეთი ამოიღო. წაიკითხე. ამ ლექსის ავტორი მე ვარ.

გამოვართვი, ჩავიკითხე და ცოტა უგუნებოდ გავხდი.

— ეს ლექსი ვერ მოგიწონე... ელიოზა...

ესე იგი, ელიოზა...

— ჰო, უკაცრავად, ელიოზა; რა არის კაცო, საიქიოდან რომ იწვევ სულს? ამ ქვეყნად ვერ მონახე?

ელიოზას ირონიულად ჩაიღიმა.

— როგორ გეტყობათ, რომ აგრონომი ხარ, პროვინციელი... ეს ერთგვარი მხატვრული ხერხია. მწერალი, რომელიც მიღმა სამყაროში არ იტყობა, რა შემოქმედია? ესე იგი შენთვის უფრო გასაგები რომ იყოს — მარტივად გეტყვი — ეს სახეებით აზროვნებაა.

— ელიოზა რამდენი ლექსი მოახერხე?

— სულ ხუთი დამიბეჭდეს. ნუ დაივიწყებ, რომ ჯერ მხოლოდ ოცდაშვიდი წლისა ვარ. და უკვე შემოქმედების ცეცხლში ვიწვი კაკალი კაცი.

— გაქვს რაიმე პოემები, ბალადები, ელეგიები?

— ბიჭოს, — შენ სახელებიც გცოდნია? ეს კარგია. რაც შეეხება ასეთებს, ასეთები ჯერ არა მაქვს, მაგრამ ეჭვი არ არის, მექნება. საქმე ისაა, რომ პოემა ძველი ფორმაა, მე მინდა რამე ახალი ფორმა გამოვანახოთ, აგერ, გუშინაც „ორიანტში“ ვისხედით რამდენიმე პოეტი და ვეძებდით.

— მე მგონია, ცოტა უადგილოა „ორიანტში“ პოეზიის ახალი ფორმების ძებნა.

— არ არის უადგილო. ჩვენ, პოეტებს, ეს საკითხი უკვე გვემის.

— ახლა რაზე მუშაობ?

— ახლა? არაფერზე. ჩემი გეგმა ასეთია: წელიწადში დავწერო თითო ლექსი. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, დიდი ტემპერამენტის პოეტი ვარ და ბევრი რომ ვწერო, ადრე დაიფერფლები. იცი, რა პოეტური სიმდიდრეს დაჰკარგავთ მაშინ თქვენ, ჩემი თაყვანისმცემლები?..

გაოცებული მივჩერებოდი დამწყებ ელიოზას.

— რა გიკვირს? — შემეკითხა იგი. — ვაი თუ არ გჯერა... დამაცადე, ათიოდე წელიწადში საზოგადოებას ვეტყვი იმას, რა სიღირსად არ უთქვამს არცერთ შემომქმედს.

— თამაზიუს, — მოდი თამაზიუსი დაირქვი, — მართალია აგრონომი ყოფილხარ, მაგრამ აგრონომსაც ხომ შეიძლება გემოვნება ჰქონდეს?

— შემომთავაზა მან უცბად და სულმოუთქმელად კვლავ განაგრძო:

— ჰო, როგორ მოგწონს ასეთი სტრიქონები:

მთვარე იქ, ღრუბლებში ფაფხურობს,

ვარსკვლავები ცეკვავენ:

უბით მოგიტან ფორთოხლებს:

სხვა რა ვქნა ცელქმა მე?

შორა მიკიოტი ჰკივის ჭოტივით

მოდის მკვდარ გაბოს ლანდი ლასლასით,

მე ეს არ მეჩოთირება:

ვარ პოეტი — ხალასი.

— რას იტყვი თამაზიუს? — შემეკითხა ის პათოსით.

მე ენა ჩამივარდა.

— გეტყობა, უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ ხარ. იქაც, რედაქციაშიც რომ წაიკითხეს, კინაღამ გაგიჟდნენ. ამ ლექსს მალე გამოვაქვეყნებ.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ვხედავდი, ჩემი არაფერი ესმოდა და ისევ სხვა თემაზე ჩამოვუვლე ლაპარაკი.

— სხვა, ოჯახური საქმეები როგორ გაქვს, ცოლი შეირთე?

ელიოზასმა ხელი ჩაიქნია.

— შევირთე. ამ დარგში ცოტა მივქარე.

— ამ დარგშიაც? — წამომცდა უცებ.

— როგორ თუ „ც“? სხვა დარგში კარგად მაქვს საქმე.

— მაინც?

— საქმე ისაა, რომ ჩემი ცოლი ვერ აღმოჩნდა პოეტის მეუღლის სიმაღლეზე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იგი გატაცებულია არა პოეზიით, არამედ მე-აბრეშუმეობით.

— ჩინებული საქმეა!

— მუაბრეშუმეობა, საერთოდ, რა თქმა უნდა, ჩინებულია, მე მიყვარს აბრეშუმის ხალათები და ამას წინად ათიოდე მეტრიც გამოვიტანე, მაგრამ...

— რაღა მაგრამ, ელიოზა?

— მაგრამ საქმე ისაა, რომ პოეზია სხვაა, აბრეშუმის კეთების პროცესი სხვაა. მე მინდოდა ჩემ ცოლს ზეპირად სცოდნოდა ყველა ჩემი ლექსი, ის კი მეაბრეშუმეობაზე დაწერილ წიგნებს კითხულობს, თუ მხატვრულ ლიტერატურას ეტანება, ისიც კლასიკოსებს.

— რა ვუყოთ, გემოვნებისა და მიდრეკილების საქმეა. — შევბედე მე.

— მაშ შენც, თამაზიუს, იმის მხარეზე ხარ? ჩინებულია! დარწმუნებული ვარ, ზიხარ ალბათ და მეხილეობას ჩაჰკირკიტებ.

— რატომაც არა!

— შენი ნებაა, მაგრამ მე ვიწვი.

— მე პოეზიასაც ვეწაფები, ოღონდ თავის დროზე. შენ რაღას კითხულობ, ელიოზა?


— ვკითხულობ ჩემს საკუთარ ლექსებს.

— სხვებისას?

— ნაკლებად. მეშინიან, სხვათა გავლენის ქვეშ არ მოვექცე... ნუ დაივიწყებ, რომ მე სულთა მოქანდაკე ვარ და სხვების გავლენა არ მარგებს.

ჩვენ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. ამაყი ნაბიჯით მიდიოდა იგი პროსპექტზე და აქაც შემოქმედებით ხანძარში გახვეულს, თვით „ორიანტში“ შესვლამდე თეთრად ასდიოდა პაპიროს „ტემის“ ბოლი.

იულია.



— საკმარისი იყო ერთხელ შემეხედნა თქვენთვის, რომ ცრუ და მატყუარა დამენახა.

— მოხარული ვარ, რომ ჩემს სახეს სარკის მაგიერობა გაუწევია

- კაცო, სად დაიკარგე, ორი წელია არ მინახებიარ!
- სწორედ ორი წელი ვიჯექი ციხეში ჩემო ძმაო და სად მნახავდი...
- რისთვის დაგაპატიმრეს?
- მაგას ნულარ მკითხავ. მეზობლისათვის ერთი მეტრი ბაწარი მოგიპარიაო და ორი წლით მიკრეს თავი ციხეში. ეს არის სამართალი?
- ერთი მეტრი ბაწარისათვის ორი წლით ვინ დაგაპატიმრებდა რას ლაპარაკობ.
- ნუ დაიჯერებ შენ. ცოლშვილი დამეხოცოს თუ ბაწარი ერთ მეტრზე მეტი იქნებოდა. ის კი არა, არ წვდებოდა ძროხას ყელზე და ძლივს გადმოვიყვანე გადმოვლმ.
- მაშ ისე გამოდის, რომ ძროხა მოგიპარია და არა ბაწარი.
- შენ არ მომიკვდე, არაა ეგ მართალი; მე ბაწარი მოვიპარე, მაგრამ თურმე იმ ბაწარის ბოლოზე ძროხა ყოფილიყო გამოხმული.

არქიფო

ძველი აკტივიზი

შეხვედრა

მოდის ბატონი ეტლით. შიგ ექვსი ცხენი უბია. წინ ლარიბი გლეხი შემოხვდა. ბატონი ეკითხება:

— საიდან მოდიხარ, გლეხო?

— საიქიოდან გეახლებით.

— რას აკეთებენ იქ ჩვენი წინაპრები?

— ეჰ, ბატონო! თქვენთვის ყველგან კარგია: საიქიოში თქვენი მაგა—პაპები ქვაბებში ბრძანდებიან და ყალიონებს აბოლებენ. საწყალი გლეხები კი შეშას ჩეხვენ და ქვაბებს ცეცხლს უკეთებენ.

უაღსრულო უიკავო რეზი

რა თქმა უნდა, ბევრს გაუკვირდება: ეს ხალხი რატომ იღებს ასეთ ნაცნობ თემასო, მაგრამ რას იზამ: ეს თემა მართალია, ძველია, მაგრამ თითქმის ყოველთვის აქტუალური.

25 სექტემბერს საქმიანსერის მცხოვრებმა ევტიხი კვინტრამემ მიიღო თავზარდამცემი ელვა-დეპეშა, გამოგზავნილი თბილისიდან ორი დღის წინათ: „ღია გარდაიცვალა პეტრე“.

ევტიხი კვინტრადის ოჯახი აფორიაქდა. მაშინვე გაიგზავნა შეკითხვის დეპეშა: „ვინ გარდაიცვალა, მაცნობე. ევტიხი“.

მოდის პასუხი: „ყველანი კარგათ ვართ. პეტრე“.

საქმიანსერში კვლავ მღელვარებაა: რად დასჭირდა პეტრეს პირველი დეპეშის გამოგზავნა, ოჯახის აფორიაქება?

ეს ამბავი გამოიკვამ მხოლოდ შემდეგში: თურმე პირველი სამწუხარო დეპეშა ჩოხატაურელ ევტიხი ხუნდაძის სახელზე ყოფილა. ჩოხატაურელი ტელეგრაფისტებისათვის კი კვინტრამე და ხუნდაძე სულერთია („ძე“-ზე თავდება ორივე!).

საქმიანსერშივე ცხოვრობს მოქალაქე რაქდენ სხვიტარიძე, რომელმაც თბილისიდან ასეთი დეპეშა მიიღო:

„ჩამოდი ოცდასამში. ევტიხი.“

საესებით მართებული იყო რაქდენისა და ოჯახის წევრთა დასკვნა: მათ გადასწყვიტეს: რაკი ელვით გვიწვევს ქალაქში, ალბათ უკანასკნელ დღეში იქნებაო. დაუყოვნებლივ შეუდგნენ მზადებას, გაამზადეს სურსათ-სანოვადე და ოჯახის ოთხი წევრი იმავე დღეს გამოემგზავრა ქალაქისაკენ. გულგახეთქილი მიაღწენ ისინი ევტიხის ბინას. ჩუმად უდგებდნენ ყურს—ან კივილი ან წივილი ხომ არ მოისმის, ხომ არ დავიღუპეთ—ხელიდან ხომ არ გამოგვეცალა საყვარელი ევტიხიო.

ჩამოჩუმდნენ არ იყო. გაუბედავად დარეკეს. დარეკეს და კარებიც გაიღო. კარებში იდგა უაღრესად მოწყვნილი ევტიხი.

— ვაი ჩემს თავს, რაღაც მომხდარა... — გაიფიქრა რაქდენმა. ბიჭო, ევტიხი, რა მოგივიდა?

ევტიხიმ შეხედა თავისიანებს და უცებ გაუბრწყინდა სახე.

— ამათ ვის ვხედავ?

და გადაეხვია ყველას.

— შემოდი, შემოდი...

— ბიჭო, გვითხარი რა ამბავია ჩვენს თავს?

— რა უნდა იყოს?... შემოდი...

მაინც გულის კანკალით შევიდნენ: ეგონათ გვატყუებდნენ.

სულ მალე გამოიკვამ, რომ ევტიხის დეპეშის ნამდვილი ვარიანტი ყოფილა ასეთი: „ჩამოვალ ოცდასამში. ევტიხი“.

ხოლო მოწყვნილი იმიტომ იყო, რომ უკვე მომზადებულს სადგურში წასასვლელად, ტაქსის ლოდინში გასტეხოდა გული.

იმავე ჩოხატაურელი ტელეგრაფისტებისათვის ერთიდაიგივე ცნებაა: „ჩამოდი-ჩამოვალ“, „მოკვდა-მორჩა“, „ნიკიტე-მივიდე“, „ვიზი-არებ თქვენს მწუხარებას“—„ვიგვიანებ მარწუხი მიტყდება“ და ა. შ.

ამ მხრივ ჩოხატაურელები კარგად ბაძავენ ჩხორწყულ ტელეგრაფისტებს, რომლებმაც შემდეგი „ნომერი“ გააკეთეს. ახალგაზრდა კაცს დავით კ-ას, რომელიც თბილისში მუშაობს, ჩხორწყულდან მოუვიდა დეპეშა „გილოცავთ ვაჟის შეძენას“. (დავითს ცოლშვილი დროებით ჩხორწყულში ჰყავს).

უსაზღვრო იყო ვაჟკაცის სიხარული: პირველი შვილი და ისიც ვაჟი! დავითს ვაჟის სახელი დიდი ხანია, გამორჩეული ჰქონდა და მყის გაუგზავნა დეპეშა:

„ვაჟს უწოდეთ დემნა“.

რატომაც: დემნა მშვენიერი სახელია.

მაგრამ ჩოხატაურელთა ღირსეულმა კოლეგებმა — ჩხორწყულმა ტელეგრაფისტებმა თავისებურად გადააკეთეს ეს დეპეშა და ასეთი სახით გაუგზავნეს ბედნიერ დედას.

„ბავშვს სცემთ მაგრად“.

რა თქმა უნდა, ეს მითითება პაწია დემნას მიმართ არ გაუტარებიათ ცხოვრებაში, ვინაიდან მაგრად ცემა დაიმსახურა არა ამ ნორჩ მოქალაქემ, არამედ სულ სხვებმა — სახელდობრ, ფალსიფიკატორებმა ჩხორწყულსა და ჩოხატაურის ფოსტიდან.

ალღარ-ალღარსან

პანი იარმუკიდან მოდიოდა და მწყემს გრიცკოს დაეწია. მიდის გრიცკო, სალამურს უკრავს.

— შენ, გრიცკო, იარმუკიდან მოდიხარ?

— აჰა.

— სალამური იყიდუ?

— აჰა.

— შენ მიდიხარ?

— აჰა.

მაშ ერთად წავიდეთ.

— უჰუ.

წავიდნენ ერთად. იარეს, იარეს და შემწვარი გოჭი იპოვეს. სულ შებრაწული იყო. პანი ასკდებოდა.

დგას პანი და ფიქრობს, როგორ მოახერხოს და მარტომ შეჭამოს გოჭი.

— გრიცკო, გრიცკო, როგორ შევჭამოთ გოჭი?

— დავჭრათ და შევჭამოთ.

— არა, მაშინ ერთერთი ჩვენგანი მეტს შეჭამს, მოდი, ასე ვქნათ: დავწვეთ და დავიძინოთ. ვინც უკეთეს სიზმარს ნახავს, მან შეჭამოს გოჭი.

— კარგი.

დაწვენენ თუ არა, პანმა მაშინვე ამოუშვა ზვინვა.

გრიცკომ ერთი-ორი მუჯლუგუნი გაჭრა პანს; სძინავს პანს, აიღო გრიცკომ პანის პურის ყუა და შეჭამა შემწვარი გოჭი. ყველა ძვალი გახრა, გამოწუწუნა, გამოძლა და დაიძინა.

პანს გაეღვიძა, თვალეზი მოიფშვინტა და ხელი გაჭრა გრიცკოს:

— აბა, როგორი სიზმარი ნახე, გრიცკო?

— შენი რჯული დაიქცეს, პან! უდროო დროს გამაღვიძე...

— პა, მიახლოე სიზმარი.

— ჯერ შენ მიახლოე, თორემ ისეთი მუჯლუგნი მკარი, რომ ყველაფერი დამავიწყდა. უნდა მოვიგონო.

— მაშ ყური მიგდე გრიცკო. აი, როგორი სიზმარი ვნახე: თითქმის გამეღვიძა, ვხედავ, ჩვენს ახლოს მშვენიერი ცხენი დადის, ახალი აღვირი აქვს, ვერცხლის ლაგამი, ოქროს უზანგი, ბუმბულის ბალიში უნაგირზე. მოვანტი მერანს და გავაქროლე! მივატყეებ მინდორ-ველზე და ისე გახარებული ვარ, რომ სიმღერასაც დავძახი. ვხედავ—დიდი ბოძია, ზედ კიბეა მიყუდებული. ჩამოვბტი ცხენიდან და ავეყვი კიბეს. მივდივარ მაღლა და მაღლა ბოლოს ცაში ავედი. დავდივარ ამ ცაში აქეთ, იქით. ვნახე ერთი სახლი. იქიდან შუქი გამოდის. შევადე კარი. ვხედავ—მაგიდას უზის თვითონ პანი ღმერთი და ვახშამს შეეკცევა, სუფრაზე აუარებელია საკმელ-სასმელი, ხაჭაპური, შემწვარი და მოხრაკული, ძეხვი ნივრით.

— ოჰო!

— ჰო და... შემომხედა პანმა ღმერთმა და მეუბნება: „მოდი პანო, ივანე ჩემთან“. დავჯექი და ვივანეშე პან ღმერთთან. აი, ხომ ხედავ, გრიცკო, რა კარგი სიზმარი ვნახე... ახლა მოიტა გოჭი. მარილი ხომ არ გაქვს შენ?...

— დაიცა, დაიცა, პან! ჯერ ჩემი სიზმარი მოისმინე!

— სთქვი, ოღონდ ჩქარა.

— მეც ვნახე სიზმარი, მაგრამ ცოტა სხვანაირი. ვითომ გამეღვიძა, ჩვენს ახლოს ერთი ჯაგლაგი ცხენი დადის. ერთი ბებრევი გაძვალტყავებული რაღაც. აღვირი თოკისა იყო, უზანგი წნელზე იყო დამაგრებული. უზანგირი დაფხრწილი. თვითონ ცხენი ქეციანი... შევჯექი იმ ჯაგრაზე და წავჩახალდი. ვიჩანალე, ვიჩანალე მინდორზე და უტეებ ვხედავ; დგას ბოძი. ბოძზე მიყუდებულია კიბე და კიბეზე მიბმულია ცხენი. მერე იცი, რა ცხენი იყო; ჩინებული, ბედაური, ახალი აღვირით. ვერცხლის ლაგამით, ბუმბულის ბალიშით უნაგირზე.

— ეს ჩემი ცხენი იყო.

— ვიცი... ავედი კიბეზე, ავდივარ, ავდივარ, ბოლო აღარ უჩანს. ბოლოს ცაში ავედი. მივდივარ-მოვდივარ ცაში, ვხედავ-სახლია. გავადე კარები, დავინახე, რომ შენ ზიხარ ღმერთთან და ვახშამობ. სუფრაზე გაქვთ აუარებელი საკმელ-სასმელი, ხაჭაპურები, შემწვარი და მოხრაკული და ძეხვი ნივრით! ჰო და, შენ ძვირფასო პანო, ხელი დამიქნე და მითხარი: „ჩადი, გრიცკო, ქვევით და შეჭამე ის გოჭი, მე აქ ვივანეშე“. მეც ჩამოვედი მიწაზე და შევჭამე გოჭი. ჰო და წამოვწევი და დავიძინე ლამაზად.

— შენ მართლა შეჭამე გოჭი?

— შევჭამე მაშ! ძვლებიც ჩავხარამუნე. მერე, რა გემრიელი იყო.


— დავწყველოს ღმერთმა! შეგაჩვენოს უფალმა! ბიჭო, მე ხომ იგი სიზმარში ვნახე!

— მე რა ვიცოდი! თქვენ ხომ მითხარით, ჩადი და შეჭამეო!

— უჰ, შენ რა გითხრა! რაღა ვქნა ახლა? მარტო პური შევჭამე!

— კი არ გეწყინოს, პანო, მაგრამ შენი პური მე გოჭთან ერთად შევჭამე. მე მეგონა, ხინკალის და ხაჭაპურის შემდეგ შავი პურის შეჭმას აღარ იკადრებს მეთქი.

ძალიან გაბრაზდა პანი, ხელი წამოუსვა ქუდს და გაიქცა. გრიცკომ კი გაიცინა და გზას გაუდგა. მიდის გზაზე და სალამურს უკრავს.



რომლის შემსუბუქებას გულწრფელად უსურვებს ნიანგი ჩვენს ზოგიერთ დაწესებულებას და მათ შორის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტსა და ავტოტრანსპორტს.



- ნუთუ ჩვენი რაიონის საგზაო განყოფილების გამგის ავტო კვლავ რემონტშია, რომ თვითონ ფეხით დადის?
- მანქანა წესრიგშია, მაგრამ მაგან კარგად იცის თავისი გზებისა და ხიდების ამბავი.



- რაჲ ააღელვა ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარე?
- გუშინდელი კრების ოქმი დაუკარგავს და რემედისის ორგანიზაციის მდივნად ვინ აირჩიეს, ვერაფრით ვერ გაიხსენა.
- რა აღელვებს მერე, ეგ ხომ ჩვეულებრივი ამბავია მაგის პრაქტიკაში.

ჰიდრო-საშუალება

არც ერთ დროს და არც ერთ ქვეყანაში წყალი ისე არ ყოფილა გამოყენებული ადამიანის სამსახურისათვის, როგორც ეს ჩვენში. ჰიდრო-ელსადგურები სოკოებივით გამრავლდნენ. უმუშევრობა მდინარეთა შორისაც მთელის კატეგორიულობით მოისპო.

აქვე დროს ხშირად ადამიანები მოწმენი არიან იმისა, თუ რა უზრალოდ და გამოუყენებელად იფლანგება ზოგ ქალაქში წვიმის დროს მოვარდნილი ნიაღვრები. ეს მაშინ, როცა, მაგალითად, თბილისში პაპანინელების ან საბჭოს ქუჩაზე წვიმების დროს ხშირად ისეთი ტალღები მოგორავს, რომ მათ ადვილად შეუძლიათ ამოქმედონ რამდენიმე იხვის ძალიანი მოტორები. ჩვენ წინადადება შემოგვაქვს აიგოს ასეთი ჰიდროსადგური საბჭოს ქუჩასა და კალინინის ქუჩის კუთხეში.

ეს ორნაირად იქნება სასარგებლო: ჯერ ერთი გაანთავისუფლებს ქალაქის საბჭოს კომგანს წყალმისაქცევის აგებისათვის ზრუნვისაგან, ხოლო მეორეს მხრივ რამდენიმე იხვი ან ჩხიკვის ძალიანი ელსადგური უზრუნველყოფს ახლო მდებარე ქუჩებს განათებით.

აბა, კაი შეშა!..

არ იქნა და არ მოიშალა ზამთარმა ყინვა, ქარი და თოვლქაპი. ადამიანი ისევ და ისევ იძულებულია მიმართოს სხვადასხვა ხელოვნურად მთბობადი საგნების გამოყენებას. ამავე დროს თუმცა გასულ წლებთან შედარებით წელს შეშით მომარაგების საქმე ბევრად გა-

უმჯობესდა, მაგრამ შეშის მომმარაგებელი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ყველას.

შენიშნულია, რომ უშეშოდ დარჩენილი ზოგიერთი უცოლშვილო მოქალაქენი გამოდიან რა ქუჩაში თბილად ჩაცმულნი, თავს მშვენივრად გრძნობენ, მაგრამ დაბრუნდებიან თუ არა ცივ ოთახში და გაიხდიან პალტოს — ემართებათ გრიპი და სხვადასხვა ნაკლებათ სასიამოვნო ავადმყოფობანი.

ჩვენ სერიოზულად დაგვაფიქრა აღნიშნულ უცოლშვილო მოქალაქეთა მდგომარეობამ და მივაგენით ჯერჯერობით მარტივ საშუალებას, რომლის გამოყენებას ეურჩევთ აღნიშნულ მოქალაქეებს.

ჩვენი გამოანგარიშებით მოქალაქე ცივდება იმის გამო, რომ გამოდის ქუჩაში თბილი ტანისამოსით. უნდა მოხდეს პირიქით: მოქალაქემ ქუჩაში უნდა იაროს მსუბუქად ჩაცმული ყოველგვარი პალტოსა და ჩაბალახის გარეშე. კარგად რომ გაეყინება ძვალბილი და ფეხებში ყინვა წაუდგება, დაბრუნდეს ოთახში და გაეხვიოს თბილ ტანსაცმელში.

აქვე უნდა აღინიშნოს ამ გამოგონების უპირატესობა: მოქალაქე, ერთის მხრივ, აღარ შეაწუხებს შეშის მომმარაგებელ არტელებს შეშის საკითხებზე, ხოლო მეორეს მხრივ იგივე მოქალაქე ახლად შეინარჩუნებს თავის თბილ ტანისამოსს და ჩაბალახს.

შენიშვნა. ეს გამოგონება არ ვრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც შეშა თავის დროზე მოიმარაგეს.

რით შევსცვალთ კალოშს

„Дождик, дождь напрасно льётся,
Я не выйду без галош;
С помощью резиновых,
Для меня везде сухое место“.

(ვ. მაიაკოვსკის რეკლამებიდან.)

ზემოაღნიშნული ლამაზი რეკლამით, რომელიც „რეზინოტრესტს“ უძღვნა რევოლუციის დიდმა პოეტმა ვ. მაიაკოვსკიმ, სამუდამოდ დათრგუნა ბუნების სტიქია — წვიმა, ტალახი, თოვლი,

„რეზინოტრესტის“ წყალობით ჩემთვის ყველგან მშრალი ადგილიაო, — ამბობს პოეტი. მართლაც რას დაგაკლებს წვიმა ან თოვლქაპი, როცა გაცვია კალოში!...

„რეზინგასაღების“ წყალობით თბილისშიც შეუძლია მოქალაქეს თავი იგრძნოს მშრალ ადგილზე და არ ეშინოდეს არავითარი წვიმისა და ტალახის.

ამისათვის უნდა შეხვიდეთ „რეზინგასაღების“ მაღაზიაში (თბილისი, კიროვის ქ. № 2), თუ კალოშს ვერ იშოვით, რაც ადვილად მოსალოდნელია, უნდა მოიქცეთ ისე, როგორც დიდი პოეტის რეკლამა გვიჩვენებს:

„... Я не выйду без галош!“

მაშასადამე ასე:

შეხვალთ და უკალოშოდ აღარ გამოხვალთ: და თუ არ გამოხვალთ იწვიმოს და იწვიმოს რამდენიც სურდეს, რას დაგაკლებს!...

არც დასველდებით და მშრალზეც დარჩებით.

396 - ლი

მ ი ნ ი

ნახ. ღონისა



1. ღონის საწყობში ჩავიდნენ ძმა-ბიჭები და საქმე კობტა მრავალუამიერით დაიწყო.



2. ინსპექტორი მოდი-ი-მის...



3. ინსპექტორმა იკითხა: — აქ ხომ არაღის აქეიფებ? საწყობის გამგემ მიუგო: — ვინა? ჩვენ? არა გენაცვა, დაათვალიერე.



4. და როცა ინსპექტორი წავიდა ძმა-ბიჭებმა განაგრძეს: — ეს ინსპექტორის სადღეგრძელოა, იყოს.



— თქვენი წერილი მძიმეა, კიდევ ერთი მ.რკა უნდა დააკრათ.
— უი ქა, მარკა რომ დავაკრა კიდევ უფრო არ დამძიმდება?

შეუვაარეული ხალხი

ქართული პური! რამდენი გემო და ლაზა-
თია ამ ორ სიტყვაში! ჯერ ერთი, რომ პურია
(მოვიგონოთ: პური ჩვენი არსობისა!) და მერე
ქართულია, მაშინ, როდესაც ყური უსაშველოდ
შეეჩვია ციტრუსს ჩაისს, ყურძენს, ხილს და სხვა
ასეთ ნუგბარ რამეებს, რაიც უხვად მოდის
ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში.

ვინ დაიწყებს კამათს, რომ პური ყველას
უყვარს? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა. მაგრამ
ვის უყვარს ყველაზე უფრო?

თითქმის ესეც ახირებული კითხვაა, მაგრამ
ჩვენ გამოვარკვეით, რომ ქართული პური ყვე-
ლაზე უფრო პყვარებათ პურის სავაჭროების
მუშაკებს, მათ შორის:

ფილიპე კერესელიძეს (წერტი № 24),
ევგენი ლაშხის (№ 37),
ლევან სხირტლაძეს (№ 12),
გიორგი სანტრუსოვს (№ 16),
ისმაილ ფათალს (№ 2),
გრიგოლ გაგნიძეს (№ 22),
მიქილ დავითიანს (№ 46),
რუბენ გრიგორიანს (№ 46),
შალიკო იოზაშვილს (№ 10),
და სხვებს და სხვებს.

სიყვარული ესოდენ სიმპატიური პროდუ-
ქტისადმი, როგორიც ქართული და საერთოდ
პურია, სრულებით არ არის საძრახისი. სწორედ
ამიტომ, ხსენებულ პირებს გადაუწყვეტიათ პუ-
რისადმი სიყვარულის რეკორდების დამყარება
და შესჯობებიან ერთიმეორეს. ამ საქმეში,
როგორც ირკვევა, პირველობა მიუღია ისმაილ

ფათალს, რომელსაც ერთბაშად შეყვარებია ათი
ტომარა პურის ფქვილი და შეფობაც აუღია
მათზე.

— უშენოდ ცხოვრება მე არ შემიძლია!
— ეფიცებოდა ისმაილი ყოველ ცალკეულ
ტომარას და გულში იკრავდა ისე, რომ არც
სხვა ტომარებს და არც ცნობისმოყვარე პირებს
არ დაენახათ.

გულუბრყვილო ფქვილის ტომარები უჯერ-
ბდნენ ისმაილს და მისი ნებასურვილს ასრუ-
ლებდნენ: მიდიოდნენ კერძო ბილიკებით, უდე-
ბოდნენ პირდაპირ გზას მომხმარებლისაქენ და
კერძო ავანტიურის მსხვერპლი ხდებოდნენ.

— ჩემო სულიკო, — უნახესი ხმით ეუბნე-
ბოდა ფათალი შემდეგ ტომარას, — შენ რომ
არ გამომჩენოდი რა მეშველებოდა?

და რაკი ამასაც გაისტუმრებდა, შემდეგი
ტომარის ძებნას შეუდგებოდა.

პურის ფქვილის ტომარების გადაჭარბებუ-
ლობა სიყვარულმა ფათალის თავი ამოაყოფინა
იქ სადაც „მათალნი“ ბრძანდებიან.

იმავე გატაცებამ ბევრი მოხსნა პურის სა-
ვაჭროებიდან, მაგრამ მათ ვერ გაუძღეს უბუ-
რობას და სხვადასხვა გზებით ისევ დაუბრუ-
ნდნენ პურს. ამ თავდადებულებით შეყვარებულთა
შორის არიან ხსენებული კერესელიძე, ლა-
შხი, სხირტლაძე და სხვანი. ზოგი მათგანი,
ველარ უძღებდა რა პურის საუცხოვო გემოს,
განზრახ ურევდა უვარგის ფქვილს, აქაო და
იქნებ ცუდელ სახის პური გამოვიდეს და ასე
ძლიერ აღარ შემეყვარდესო. ხარისხის დაქვე-

ითების მხრივ ისინი მართლაც აღწევდნენ მი-
ზნს, მაგრამ ლტოლვა ასეთი პურისადმი კი-
დეც უფრო იზრდებოდა და მუშაკები განუ-
წყვეტლევ ივსებდნენ სტომაქსა და ჯიბეს.

ტკბილია ტკბილი წყალი. განსაკუთრებით
ტკბილია სიროფი. სწორედ იგია წყალის
დატკბობის წყარო. იგივე სიროფია წყარო
წყალის გამყიდველთა სიცოცხლისა და მშვენ-
ებისა. იმავე სიროფს შეიძლება ვუწოდოთ
მომხმარებლის წყენის წყარო:

არტელ „ლიმონადის“ წყალის გამყიდველმა
დარჩო კოლტუხიშვილმა წესად შემოიღო: მომ-
ხმარებელს დააკლოს ხუთი გრამამდე სი-
როფი. ცხადია, ესაა დარჩოს შემოსავლის წყა-
რო, ხოლო მომხმარებლისა კი — პირიქით.

დარჩოს წესი პირწმინდათ გადაიღეს არ-
შაკ ხაჩიკიანმა, ვალიკო ისაკაძემ, აკაკი არჩვაძემ,
მახარობლიშვილმა და მთელმა რიგმა დანარჩენ-
მა გამყიდველებმა. ამათში ყველაზე ნამუსიანად
მუშაობს მახარობლიშვილი („ლიმონადის“
№ 18 წერტი), რომელიც ჭიქაზე მხოლოდ ხუთ
გრამს აკლებს.

— რამნიშვნელობა აქვს ხუთ გრამ სიროფს
მომხმარებლისთვის? — მსჯელობენ ეს მუშაკები,
— არავითარი. ესაა, რომ წყალის სიტკბო არ იქ-
ნება ჯეროვანი ღონეზე, სამაგიეროდ, ათასო-
ბით ხუთი და ათი გრამი ტკბილი სიროფი დი-
დათ დაგვატკბობს ჩვენ, სიროფიან წყალის
საწყალ გამყიდველებს...

მოდი და ელაპარაკე ასეთ ხალხს.

პ. ონბოშვილი.

ნიანგის ჩამოსვლის მეორე დღე ბათუმში



ერთ ადგილას უშველებელი რიგი დაგინახეთ.

— ეს რა მაღაზიაა ნეტა, პატეფონის ნემსები თუ მიიღეს. — სთქვა ნიანგმა და ბათუმელ რწმუნებულს თვალი გადაუჭრუტა.

— კინო-თეატრი გახლავთ, — უპასუხა პარლორმა, — მოთხოვნილება გაიზარდა, ყველას კულტურა უნდა, არ უნდათ გართობა და-ჩკლონ და მთელ დღეს ბილეთის რიგში დგომა საჭირო, რომ კინოში მოხვდეთ.

ამ რიგის აღწერა თავისი გარეგნული სირთულის გამო მხატვარს მივანდეთ და ის ის იყო გზის განგრძობას ვაპირებდით, რომ ვიღაც



ვ ერთხის მსგავსი სახის ახალგაზრდა წამოგვედო და ჩურჩულით მოგვაყარა:

— კაი ადგილია...

— რას ყიდი?! — ჰკითხა ნიანგმა.

— რაღა, აქაური არა ხარ? — იკითხა „ვირთხამი“, შემდეგ სიბნელეში კარგად დააკვირდა ნიანგს და ის იყო უნდა „თავისი კვდრე-ბისათვის გაესწრო“, რომ გაქაჩულს „წრუწუნი“, ავტეხეთ.

ჩვენი „წრუწუნი“, კინოს ბილეთების გადამყიდველი გამოდგა.

უცნაური შეხვედრა

შეგვამცივნა და სასაუბრეში შევედით.

— დასაღვეი რა გაქვთ? — ვკითხეთ.

— არაყი.

— ჩვენ გაზიანი, გამაგრილებელი რამ გვინდა.

— თქვე კაი კაცებო, ახლა გაგრილების დროა?

— დათრობა არ გვინდა და...

— დათრობა თუ არ გინდათ ცოტ — ცოტა მიირთვიეთ. თითო კიკა არაყი რას გიზამთ!

— ცხელი არაფერი გაქვს?

— არაყზე უფრო ცხელი? რა ვიცი, ვერაფერს მოგართმევთ.

— ჩვენ მსუბუქი საჭმელი გვინდა, ისე სასწრაფოდ.

— ძალიან მსუბუქია, ბატონო, პირშივე ორთქლდება.

— ეს რა?

— არაყი, ბატონო!

— მოკლედ გვითხარი, არაყის მეტი არაფერი არა გაქვს?

— აქ რესტორანი ხომ არ არის, ბატონო, რომ სხვადასხვა ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი მოგართვათ. სასაუბრეში საერთოდ ასეა.

— სთქვა მესასაუბრემ და ნიანგის გარდა ორივენი მშვიერი დავრჩით.

ვამიშველითა და რამით

თბილისისაკენ წამოსვლა დავაპირეთ და სავახშმოვ სადგურის რესტორანში შევიარეთ. კარგახანს ვაკაკუნეთ. მოცუნტულა მიმტანი როგორც იყო. ბუღალა მოვთხოვეთ და ისევ უკანვე წაცუნტულდა. მთელ საათს უცადეთ. ბუღალამიანთ სადღაც დაიკარგა. ისევ კაკუნი ავტეხეთ. კარგა ხანს ვაკაკუნეთ. კვლავ მოცუნტულდა:

— ბუღალა გათავებულა, ბატონო! — ბოდიში მოიხადა.

— სხვა რა გაქვთ?

— კარგი რამე, ბატონო:

— სახელი რა ჰქვია მგ კარგ რამეს?

— რა მოგახსენოთ, ბატონო, მაკარონია ვერმიშელით.

— სხვა არაფერი გაქვთ?

— მზად არაფერი. ბატონო.

— მოიტანეთ რაც არის.

წავიდა მიმტანი. ოცი წუთის მერე ისევ მობრუნდა და გავვიცხადა:

— მაკარონია ვერმიშელით, მაგრამ ვერმიშელი ტარხუნითაა, ბატონო.

დავთანხმდით მოტანაზე. წავიდა და ხუთმეტ წუთში ისევ მობრუნდა.


— ვერმიშელი ტარხუნითაა მაგრამ ტარხუნა ჭარხლითაა ბატონო! კიდევ დავთანხმდით. კიდევ წავიდა და ახლა კი სასწრაფოდ — აა წუთში დაბრუნდა:

— ტარხუნა ჭარხლითაა მაგრამ ჭარხალი სტაფილოთაა ბატონო! გაგზავნით... დავმშვიდდით... დავთანხმდით და როგორც იყო გვეღირსა უცნაური კერძი, მაგრამ ხელის ხლების მეტი ვერაფერი დავაკელით.

ფასი ვიკითხეთ.

პორცია ექვსი მანეთია, ბატონო!

— კი, მაგრამ, ინტურისტის რესტორანში საუცხოო „სალიანკა“, ულუფა ხუთი მანეთი ღირს და აქ ამ ნავავს ექვს მანეთად ყიდი?



— აქედან ინტურისტამდე სამი თუმანი ღირს ფაიტონი, უფრო ძვირი დაგიჯდებათ, ბატონო... — ზრდილობიანათ აგვისნა მიმტანმა — მე და პარლორი მართალია მშვიერები დავრჩით, მაგრამ ნიანგმა კმაყოფილებით განაცხადა:

— კარგა ხანია ასეთი ვახშამი არ მიჭამია!

და მიმტანის გადამყიდველმა პირველ მატარებელზე აღებული ბილეთებით მეორე მატარებელს ძლივს მივუსწარი.

ს.ო.კ.



არჩევნული
გეგმირთა

დიდი ხანია, არ მინახავს კოლხიდა. ჩემი უკანასკნელი იქყოფნის დროს ევკალიპტების ნერგები პაწაწინები იყვნენ, ახლა კი, როგორც ამბობდნენ, ამ ძვირფასი კულტურის ტყეები ყოფილა გაშენებული.

ამიტომ და აგრეთვე იმის გამო, რომ შავი ზღვის სანაპიროები ზამთარშიაც ამწვანებულია, მე მომიხერხდა მივლინება სწორედ ფოთის მიმართულებით.

მეის მივადექ რკინიგზის სადგურს, რათა რბილი ვაგონის ბილეთი ამეღო, რბილად და თბილად შემეზავრა, რომ შემდგომში კოლხეთის რბილი ჰაერით მესუნთქა.

რალა თქმა უნდა, რბილ ბილეთზე მოლარემ რბილად მითხრა უარი. სადგურის უფროსმაც რბილი თავაზით გამეზავნა მორიგესთან, რომელმაც აგრეთვე გულბრუნად მიმიღო და ისევ მოლარესთან დამაბრუნა.

— რა გქნათ, გენაცვა, რბილ ვაგონებზე, მეტად დიდია მოთხოვნილება: ურბილესად მომიგო მან, — შეახსენეთ მოლარეს, იქნებ რამეფერად მოახერხოს.

მოლარემ ამხედ-დამხედა და ხვეწნის შემდეგ ძლივს მომცა მაგარი ვაგონის ბილეთი. გული გავიშავრე და მაგრად შევედი მაგარვაგონში.

— მაგრად იყავი, — მაგარი ხმით მითხრა ვაგონის გამყოლმა ნიკომ, — მაგარი ვაგონია, მაგრამ ერთი მაგარი სასმელი ვიშოვოთ, მაგრად გადავკრათ და მაგრადაც დაგვიძინება.

მაგრად დაიძრა მატარებელი. დიდუბეს მიტანებული არ ვიყავით, რომ ნიკომ თავის მაგარ კუბეში შემოყვანა და მაგარი სასმელებიც შემოიტანა.

— გარედ მაგრად ცივა ახლა, მაგრამ მაგარი სასმელის გამო ჩვენ ვერაფერს ვგრძნობთ, — ქსანში მეუბნებოდა შეზარხოშებული ნიკო, რომელმაც სამი რბილი ბილეთის ფასად დამისვა ეს მაგარი კუბე.

როცა ხორავი გამოგველია, ნიკომ მაგრად დაამთქნარა და მითხრა:

— ვაგონ — რესტორანში გადავიდეთ, იქ მე ნაცნობი ბუფეტრიკი მყავს და კარგ პატივს გვცემს. დანარჩენი ჩემზე იყოს.

რაკი დაგრწმუნდი, რომ ახლა ეს კაცი მიხდება მასპინძლად, გავყევი.

— ევკალიპტები, ციტრუსები... — ეშხით ამბობდა ნასვამი ნიკო, — ყველაფერი ეს მომხიბლავია... მაშ აბა თითოც...

ეს „თითოც, თითოც“ დიდხანს გავრძელდა და ჩვენ უკვე აბაშის მივატანეთ. ჩამთვლიმა. მებუფეტემ გამაღვიძა და ანგარიშის გასწორება მოითხოვა.

ნიკო?

ნიკო აღარსად იყო.

წასულიყო.

ასოცდათხუთმეტი მანეთი გამომართვა მე-ბუფეტემ (აქედან 35 ხალტურა) და მე. აბსოლუტურად გამოცარიელებული ჯიბით, ჩავედი აბაშის სადგურზე: იქვე ახლოს, სეფიეთში უნდა გამეცლო.

აბაშაში ბევრი მყავს ნაცნობი. ფული ვისესხე და ეტლი მოვძებნე. სეფიეთამდე ხუთი კილომეტრია და მეეტლემ ხუთჯერ თორმეტი მანეთი გამომართვა. თან გზაზე ბუზღუნობდა, რომ მეტად მძიმე ვარ და ცხენებს უჭირთ ჩე-

მი წადება. ამიტომ ტალახსა და ღელეებში გადმოვსვამდა ხოლმე ეტლიდან და ეტლს უკანიდან მოაწეჭო, მეუბნებოდა. ამასთანავე, ერთხელ კინალამ დამაჯარიმა — ტალახიანი ჩეკმებით რატომ ჯდები ეტლშიო.

სეფიეთიდან, რა თქმა უნდა, ფეხით დავბრუნდი აბაშაში და ქ. ცხაკაიაში ჩავედი, რათა იქაური სასტუმროს აპარტამენტებში დაესვენა ჩემს აფორიაქებულ სულს.

მაგრამ... (აქაც მაგრამ!) ხსენებულ აპარტამენტებში არ შემოიშვეს იმ უბრალო მოტივით, რომ სასტუმროს გამგე იქ არ იყო და მისი ნებართვის გარეშე კი ვერ გაბედეს აპარტამენტის დათმობა.

გაბრაზებულმა ქ. გეგეჭკორისაკენ გავსწიე, რომ იქ მეპოვნა მყუდროება. ხსენებულ მყუდროებას მართლაც ვიპოვიდი, მაგრამ (კიდევ მაგრამ!) ავტობუსის პატრონებმა არ მოისურვეს ჩემი წაყვანა და ისევ ფოთს ვესტუმრე.

ფოთი!

ციტრუსები!

ევკალიპტები!

აი, სად ნახა მყუდროება მესაჭირობით და დალილმა სულმა. შვებამ ამივსო გული და ის იყო, საბოლოოდ უნდა დავმტკბარიყავ, რომ სასადილოს გამგე ნიკო მასხულიამ. მტაცა ხელი და სასადილოში შემოიპატიჟა.

— ღომი და ლობიო! — მიიძახა მან ოფიცინტს. დიდის კმაყოფილებით შეეუდღე ქამას და ათი წუთის შემდეგ წიწაკისაგან ხახაში ხანძარანთებულმა სასწრაფო დახმარების პუნქტში ამოვყავი თავი.

ამჟამად გავდივარ წიწაკისაგან ხახის დამწვრობის მკურნალობის სპეციალურ კურსს, რის დამთავრების შემდეგ დავბრუნდები თბილისში სადაც ავწერ ჩემს ალტაცებას ფოთისაკენ მოგზაურობის გამო.

პ. შაჰისელი.

ნახ. გ. ისავეისა



— ორი კვირა იმკურნალა ჩემმა ქმარმა ჩვენი რაიონის კბილის ექიმთან და ახლა არც ერთი კბილი აღარ სტკივა.

— როგორ?

— ისეთი წამალი გამოუწერა, რომ ერთ კვირაში აღარც ერთი კბილი აღარ შერჩა, სულ დაცვივდა.



- თქვენო უწმინდესობავ, თქვენ დაგივარდათ ზეციური სასუფევლის გასაღები.
- ეშმაკსაც წაუღია ის, სამაგიეროდ, ყუმბარებისაგან დაცვის თავშესაფარის გასაღები ხელში მაქვს.

— არა, ძმაო, მიუხედავად ჩემი პროგრესი-
სტობისა, მაინც მწამს ქანკებისა და ოჩოპი-
ნტეების არსებობა.

— როგორ?

— როგორ და ამას წინათ მთვარიან ღამ-
ეში მევიოდი და ჩემს გვერდით, კედელზე,
ოჩოპინტე დავინახე.

— როგორი მოყვანილობისა იყო?

— პირწავარდნილ აქლემს ჰგავდა.

— შეგიძლიათ დამეხილდე: ის შენი საკუ-
თარი ლანდი ყოფილა.

წერილი

„ჩემო გიჟო! სამწუხაროდ, დღეს საღამოს
ჩვენ ვერ შევხვდებით ერთმანეთს: ერთი რომ
გუშინ მივლინებაში წავედი, მეორეც — საში-
ნელი რევმატიზმი მაქვს და ლოვინიდან ვერ
ვდგები, მესამეც — დედას უნდა წავყვე ოპე-
რის თეატრში — დღეს პრემიერაა.

შენი ღალა.“

ინციდენტი

მოანგარიშე სხმარტლადემ რქის სათვალე
იყიდა, სწორედ ისეთი, როგორიც საფინანსო
ნაწილის გამგეს ჰქონდა.

— რაღა განსხვავებაა ახლა ჩვენს შორის?
— გაჯავრდა გამგე, თუ კი შენ, მოანგარიშე,
რქის სათვალით ივლი, მე რა — ჭოგორი ვატა-
რო?

რჩევა

— რომ იცოდე, ბები, როგორ ველეავ.

— რატომ, შეილო?

— ხეალ, საღამოს, დისერტაცია გადა-
სწყვეტს ჩემს ბედს. ოჰ! ჩემო დისერტაციავე,
დისერტაციავე!

— ნუ აჩქარდები, შეილო, თუ ოჯახი კე-
თილშობილური არ არის, რაც უნდა ღამაში
ქალი იყოს, მაინც არ უნდა შეირთო.

ლოლიკა

— კბილის ჩოთქი გაქვთ?

— არა.

— რატომ არ მოგაქვთ საწყობიდან?

— რაღენიც მოვიტანეთ, რიგი შეიქმნა:
ძაან ეტანება ხალხი და...


— მერე?

მერე და რიგები რომ თავიდან ავიცილოთ,
ალარც ჩოთქები მოგვაქვს.

ჭურჭლის მალაზიაში

— წუნდებული ჩაიდანი გაქვთ?

— როგორ არა! ილო, წასტეხე ერთი მაგ
ჩაიდანს ყინწი!



— უნდა გითხრა, რომ წუხელ თქვენმა დირექტორმა დამპტივა და კარგათ ვიქეიფეთ.
— როგორ? — ჩვენი დირექტორი ხომ სამი დღის წინათ მოსკოვს გაემგზავრა?

ცხელ-ცხელი ამბები

ეზმაკიბი დამპატრონე

ყვარელი. გუშინ ქარმა შეჯიბრება გამართა ლომა კამეჩებთან.
დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ შეჯიბრების ინიციატორმა (ქარმა) და-
სძლია მოწინააღმდეგე და თორმეტი ფუთით მეტი გაიტაცა კოლმე-
ურნეობა „წინვლას“ უპატრონოდ მიტოვებული თივა. ვაქე

გეგმის გარეშე

სოფ. მახარაძე — მეღვქუდურის გზაზე, რომლის შეკეთება წელს გეგ-
მაში არ არის შეტანილი გეგმის გარეშე ტალახში კისრამდე ჩაიფლო
და მესამე დღეს ხარკამეჩის დახმარებით ამოიყვანეს — ადგილობრივ
საბჭოს კეთილმოწყობის განყოფილების 3 თანამშრომელი. ტიტე

ახალი დამსახურება

ხეობის (დუშეთის რაიონი) სოფლის ოთხფეხა ვირთხებმა მადლო-
ბის არხა გაუგზავნეს სკოლის დირექტორს მუშკუდიანს, რომელმაც
სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნებს გარდა მოათავსა საკუთარი სურსათ-
სანოვარე და კარებს იმხელა კლიტე დაადო, რომ შიგნით ველარ შე-
დის ველარავინ არა მეშეკ დიანის გვარისა. ხიხო


უშანაკო მსხვერპლი

სოფ. პატარძელის (საგარეჯოს რაიონი) კოლმეურნეობის ფერ-
მას თავს დაესხა სარევიზიო კომისია. ბრძოლამ კომისიასა და ფერ-
მის გამგე მ. უსტიაშვილს შორის ერთ საღამოს გასტანა, რამაც ძმაბი-
ჭურად საქმის მიფუჩეების მიზნით იმსხვერპლა ფერმის 2 წლის ზაქი.

ფუხე

დინგაჩასლა

„სოფ. ველისციხეში (გურჯაანის რაიონი რამოდენიმე წლის წინად საძირკველი ჩაუყარეს სკოლის შენობას და საქმეც ამით დამთავრდა“. სტ. არღუთელი.




საბჭოს თავმჯდომარე: მგონი ამ ადგილას იყო საძირკველი ჩაყვარეთ და...

მდივანი: რატომ დაინტერესებულხარ? საბჭ. თავმჯდ. — მგონი შიგ ჩამიყვა დადგენილება სკოლის აშენების შესახებ.

გამოუსტადნი

ნაფიზოვს (ჩხორაწყუს რ-ნი) კოლმეურნეობის კანტორაში მოუვლელად ყრია აირწინადები, რომლებსაც თავგები აფუჭებენ.




მირთხა — აქამდე ვერ შევისწავლე როგორ მოვიხმარო ეს ნივთი?

წრუწუნა — ჩვენ რა გაგვემტყუნება, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარემაც ვერ ისწავლა?


რა ანუხებს

„სოფ. რუისის საექიმო პუნქტის შენობა დაზიანებულია, სახურავიდან წვიმა ჩამოდის.“ მტკვრისპირელი




— ახლა სხვა ხომ არაფერი აწუხებს თქვენს ბავშვს?
— ახლა წვიმა აწუხებს, ექიმო, მეტი არაფერი.

ჩინიზმის მე-4 სასაღიროში




მოსადილე: რას დამდგომიხარ თავს? მეტი არაფერი მინდა.
ოფიცინატი: სამაგიეროდ მე მინდა მალე — მოათავე, მეტი თეფში არა გვაქვს, სხვა მოსადილეები მაგას უცდიან.

„სოფ. ანაგის (სიღნაღის რ-ნი) ათწლეულის შენობის დამთავრების საქმე 8 წელიწადია, რაც კიანურდება“.



დაკვირვებული

— მაში, მე ხომ მაშინ პირველ კლასში ვიყავ, როცა ეს შენობა დაიწყო, ახლა მეცხრეში ვარ და მაინც ვერ დამთავრდა.
— ეგ, შეილო, ათწლეულია, ალბად ათი წელი სჭირდება მაგის აშენებას.





სიგნალი ზმსტაფონიდან

ზესტაფონის ზოგ—ზოგ ქუჩას
საბჭო აღარ სწყალობს.
გზებზე ტბა დგას და ტალახში
პირუტყვიც კი წვალობს.

ქალაქის ხიდს აკეთებენ
გადის კარგა ხანი,
არც ბონდია სრულ წესრიგში
თავის სიგრძე—განით.

სახელმწიფო თეატრი გვაქვს,
დადგამაც მიდის ხშირად,
წარმოდგენას თუ დაესწარ
დაგიჯდება ძვირად.

ღარბაზებში ისე ცივა,
აგიტუდებით ხველა,
ნიანგოჯან, ამ საქმეში
გვინდა შენი შევლა.

კიჩო

აბა-აბა

—ნავთიი!—ყვირის სილიბისტრო,
ჩიხლიჩოს ლამის ხაო...
ოცი ლიტრის ფული მივეც
მან თორმეტი ჩამისხაო...

თუ გსურს ბავშვი დაიქვანოს
წააგრძელოს კისერიო
მიეც კონსულტაციიდან
მოტანილი კისელიო...

ცოლმა მითხრა:—გეყო შრომა,
დაისვენე ცოტათიო...
გახდი სახლთა კომენდანტი —
უსაქმოების ოსტატიო.

ზოგ აბანოს წყალი არ აქვს,
ზოგს არ ყოფნის გობიაო...
საპონი თუ იქ წაისვით
დაბანა შინ სჯობიაო...

ტრამვაიში ჩამომახმეს
ბიჭი —ლოყებწითელაო...
რომ ჩაფეჭი, ტანზე მეცვა,
ჩამოვედი ტიტველაო...

პავლე ბლიაძე

სტუდენტალის კუპლები

სტუდენტალის ამბებსა ვწერ,
კალამს ვკიდებ ხელია.
სასადილოს ბუფეტი აქვს,
მაგრამ ცარიელია.

ჩაი „მეტად ტკბილი არის“,
მიმტანებიც ქებული;
ჭიქა ჩაის თითო საათს
უცდი გაბრაზებული

აბანო გვაქვს „ავტომატს“
ჩვენ შეფუტვით იმასა.
ხან მდულარეს გადაგვარებს,
ხან დავასხამს ყინვასა.

სტუდენტი

უბარო ჭაფუკიჭაფუკი

ეროვნული
ფილითეა

რაც გინ ძალა შეაღიო,
წყალი რაც გინდ დიდხანს ნაყო,
არასოდეს არ იქნება
შენი შრომა საამაყო.

რა გინდ თოვლი არ დაიდოს,
თივა გაწყდეს მოადაბარში,
ტყვილად ფიქრობს იხიროს
ვისაც თივა უდევს თავში.


მოქმელი — ხეფედავლე

უფუქარი ნიშნები

ნახ. ან. კანდელაკისა



მძიმე: ფილტვების დასუსტების უტყუარ ნიშნებს ვხედავთ, დიდი ხანია, რაც ეს
ლაქები გაგჩნდათ ფეხზე?
კლინტი: მას შემდეგ, რაც ახალი ჩულკები ჩავიცვი.



— ნუ ტირი, ვინც პატარაობისას ბევრს ტირის, როცა გაიზრდება უშნო სახე ექნება!
— დედა, მაშ შენ ბევრი გიტირნია პატარაობისას?!

ლილოგი

ჩაილოურის ბიბლიოთეკა—სამკითხველოში

- შეიძლება შემოვიდეთ?
- თუ საქმე არა გაქვთ, რატომ არა.
- მომეცით „კომუნისტი“ და „ზარია“.
- „ზარია“ სხვამ წაიღო, „კომუნისტი“ შინ დამრჩა.
- გუშინდელი?
- გუშინდელი გუშინ წაიღეს.
- „ახალგაზრდა კომუნისტი“ წამაკითხეთ.
- ისიც სხვამ წაიღო და ამ კვირაში მოიტანს.
- „საბჭოთა მასწავლებელი“?
- მასწავლებლებს ვათხოვე, თუ არ დაკარგეს, იქნებ დააბრუნონ კიდეც.
- „ნორჩი ლენინელი“ მიბოძეთ.
- გიბოძებდით, მაგრამ რაიონი სადგება ნორჩი ლენინელებით და დაიტაცეს.
- „ნიანგი“?
- გვქონდა, მაგრამ აქაური კაცი იყო შიგ გაწერილი და თუ არ ვცდები, გაჯავრებულმა გაიტაცა.
- ჟურნალი „ოქტომბრელი“?
- ოქტომბრელებს გავატანე და ჯერ ჩამი-ჩუმიც არ ისმის.
- თუ სამკითხველოში ჟურნალ-გაზეთები არა გაქვთ, მაშ აქ რაღას უზიხართ?
- თქვენც ეგა თქვით და! მეც მიკვირს, მაგრამ იქნებ ვინმემ დააბრუნოს მეოქი...
- მაშ ნახვამდის.
- ხეირი ნახეთ. არაფერი გეწყინოთ. მეც ცოტას წავიძინებ და მერე ჰაიდა, სახლში...
- მკითხველი გადის. ბიბმუშაკი იძინებს.

ბ. ნადარეიშვილი.

ძალიან გულფიცხი ხალხი ცხოვრობს ქალაქ ზესტაფონში. უჩინიან ადგილად ბრიყვ ორგანიზაციებს იმის გამო, რომ ფეროქარხნებსა და ზესტაფონის შიპოს-ნიშნული ავტობუსი კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოდის საშუალოდ. მე, ქვემოთ ამისა ხელის მომწერს, როგორც ზესტაფონის მცხოვრებს შემო-ძლია მოვაცნო ჩემს თანამოქალაქეებს, რომ წინადასთან ფეროქარხნები აიგებოდა, ავტობუსის სრულდებით არავის უნახავს ზესტაფონში, მაგრამ ამის გამო არავის უჩივლია.

ეს ერთი.

ახლა მეორე: ყველამ იცის, რომ მყინვარწვერზე, იალბუზზე (და როგორც ამ-ბობენ არც თუ უნაღონდ) ავტობუსები, და მით უმეტეს ტროლეიბუსები, სრულდებით არ გამოდისა ხაზზე, მაგრამ ეს გარემოება არ უშლის ხელს ათასობით ტურისტს და ექსკურსანტებს გადალახონ მყინვარები და მწვერვალები.

ყელა ამის შემდეგ ნუ თუ უსაფუძვლო არ არის ზესტაფონელთა ჩივილი? ია-რონ ფეხით, ქვეყანა ხომ არ დაინგრევა... მართალია, ბევრს სამუშაოზე დააგვიან-დება, ზოგს პასუხისმგებლობა მისცემენ, საწარმოო გეგმის შესრულება შეფერხდება და ა.ე შემდეგ, მაგრამ რა შუაშია აქ ავტობუსი!

ყველაფერიდან სჩანს, რომ ავტობუსების მფლობელი ორგანიზაციებიც არა-ფერო შუაშია.

ისინი განზე არიან...

ტ. იანიძე

სწორია?...

(ბათუმი)

ბათუმის ციტრუსების შემუშავების №3 ქარხნის კარების წინ ამასწინათ დიდი ჩოქოლი იყო.

— გამოდით კაცო აქეთ,—ყვიროდა ერთი—კითხვა არ იცით, თუ რაშია სა-ქმე!... ერთი მიმიშვით.

— მიგიშვით თუ არა, მე ვიცი, ჩაბუღებულა. შენ კი არა პედინსტიტუტი მაქვს დამთავრებული და მე ვერაფერი გავუგე მაგ ბრძანებას.

— აბა მე მიმიშვით, სიმამრი მყავს ისტორიის მასწავლებელი... მანდ ალბად ისტორიული საკითხია.

— არა, არა, აქ უფრო მათემატიკის ამბავია.

რაშია საქმე?—იკითხავს გინმე. გამოირკვევა, რომ აღნიშნული ქარხნის კარებზე გაკრული იყო ასეთი

„ბრძანება №91, 1/X-40 წ. § 2.

ბათუმის შემოქმედ. ქარხანაში იქნას შემოღებული ამაწლის 1-ლ ოქტომბრიდან სალ. 5 საათიდან სალ. 10 საათამდე ჩათვლით, რისთვისაც დაევალოს ამა რიცხვი-დან ქვემოთჩამოთვლილ ამხ-ბს: (ჩამოთვლილია გ.არები).

სწორია: (ხელმოწერა გაურკვეველია).

ამრიგად „ქვემოთჩამოთვლილი ამხ-ბი“ ფორმალურად დაინტერესებული იყვნენ გა-მოცნობით თუ რა იქნას შემოღებული „ამა წლის ამა რიცხვიდან ჩათვლით“, მა-გრამ ეს საიდუმლოდ დარჩა: ამავე დროს კი ბრძანების ქვევით სადგებით გარკ-ვევით ეწერა: „სწორია“...

ამ ბრძანების სისწორისა რა მოგახსენებთ, მაგრამ მისი შემდგენის გონება რომ სწორად არ მუშაობს, ეს კი სწორია.

მანუჩრები

სანამ დააცუკიბდნენ...

(ზუგდიდი)

იმ დალოცვილმა ღმერთმა (ფუი ეშმაკს!) ადამიანი რომ გააჩინა ცოტა შეფი-ქრიანდა.

„მგონი თავი ავიგდე,—იფიქრა ღმერთმა,—ცხვირზე ვატყობ ადამიანი რაღაც შარს გადამკიდებდა“.

ეს რომ იფიქრა გადასწყვიტა შეეზღუდა ადამიანისათვის თავისუფალი ცხო-ვრება და გაეძნელებინა ინტრიგების მოწყობა ღმერთისათვის.

ამ მოსაზრებით ღმერთმა (ფუი ეშმაკს!) გააჩინა ქალაქ ზუგდიდში მდინარე ჩხოლში, რათა ამ ქალაქში აღმოჩენილ ინტრიგანებს საშუალება არ ჰქონოდათ ერთმანეთს დაეკავშირებოდნენ

მაგრამ ღმერთი მოსტყუვდა. ზუგდიდელებმა ამ მდინარეზე ვიწრო, ასე ვთქვათ, საცალფეხო ხიდი ააგეს გავიდა საუკუნეები. ღმერთის წყალობისა, თუ სიძველის შედეგად ხიდი დაიმტვრა და ამჟამად ცალკე პროფკავშირის წევრებს, სარეწაო კოოპერაციის ზოგიერთ მუშაკს და სხვა მოქალაქეებს ადვილად შეუძლიათ მოი-ტეონ ამ ხიდზე როგორც ფეხი, ისე საკუთარი კისერი. გახარებული ღმერთი ხან ერთ გამვლელს დაუდებს კვანტს ფეხებში და ხან მეორეს. ამას წინადად-გილობრივ მცხოვრებლებს ბ. ჯაბუას და დ. გოგოხიას დაეტაკა აღნიშნულ ხიდ-ზე ღმერთი (ფუი ეშმაკს!...) მათ ფეხები ჩაუვარდათ ხიდში და ძლივს გადარჩნენ სიკვდილს.

აღსანიშნავია, რომ ღმერთი ამ ხიდზე გავლას ვერაფერს ბედავს და ირჩევს ფეხდაფეხ გასვლას მდინარეში. იყო შემთხვევები, რომ მდინარეში თავგანწირული მგზავრები დააცურა და წაიღო დასავლეთის მიმართულებით.

ყველაფერიდან სჩანს, რომ ადგილობრივ რაისაგზაო განყოფილებას, რომელ-საც დამტვრეული ხიდის შეკეთება ევალება, ღმერთი გაუწყრა.

ჩვენი კეთილი რჩევაა აღნიშნული განყოფილების მუშაკები დროით მოვიდნენ გონს, თორემ ადგილობრივ საბჭოს არც მათი დაცურება გაუჭირდება.

ბ. აღშინაია

ორშაბათი. ახ, საბოლოო დავაშია, რომ თეორიასა და პრაქტიკას შორის უფრო კრულია.

რა აღვილი იყო ასფალტოვან ქუჩაში, რომ ხტად ჩამწკრივებული ჯარისკაცები წაიხად ფეხის რიტმიუად ცემა...

აქ კი ყუმბარებს გვიშენენ, მამაძაღვები!..
სამშაბათი. დღევანდელ საპერო ბრძოლაში მტრის 25 თვითმფრინავი ლებულობდა მონაწილეობას.

ჩვენის მხრივ 10 ავიამანადგურებელი ეკვეთა მტერს.

მათ დაჰკარგეს 20 თვითმფრინავი, ჩვენს ბაზაზე დაბრუნდა 15 გამანადგურებელი საესებით უვნებლად...

ორშაბათი. მტერმა დღეს ჩვენს ზურგში გადმოსხა დესანტი პარაშუტებით.

პირდაპირ შეხვედრას ერიდებიან.
ეს არის თაღლითობა.

ხუთშაბათი. დილიდანვე მტერი უკვე პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდა.
საზიზღრები.

პირდაპირ სახეში გვაყრიან ტყვიებს.

შარასკევი მთელი დღე სოროში ვიყავი შემძვრალი.

გარედან განუწყვეტელი ბათქა-ბუთქი ისმოდა.

შაბათი. მტერმა დაჰკარგა ყოველგვარი სინდისი და უწყსრიგოდ შემოგვიტია ყოველის მხრიდან.

ჩვენი ჯარი წესრიგიანად იხევს უკან და ეძებს გასაქცევ ადგილს.

კვირა. მე პირადად მოვნახე გასაძრომი.

უკვე სამშვიდობოზე ვარ ახლა ყველაფერი ფეხებზე მკიდია. მისტარ ფუს-ფუს.



- ჩვენ ხელზე სამი ბილეთის მეტს არ ვიძლევი.
- მაშ მე ექვსი მომეცი.
- რატომ?
- ორი ხელი მაქვს და იმიტომ.

ჩვენის უოსვა

მეთვალყურეს (ჩაქვი) ვათავსებთ უცვლელად შემდეგ თქვენს განცხადებას;

მოგახსენებთ, რომ დავწერე ლექსი „სატრფო“. მოვითხოვ მის გატარებას ჟურნალში. და ა დ ე თ თქვენს მხატვარს მისი გაფორმება. თუ თქვენთვის საჭირო იქნება ჩემს ვინაობასაც გაცნობეთ. მე თ ვ ა ლ ყ უ რე. ჩაქვი. პავლიონის მეორე საერთო საცხოვრებელი ოთახი № 16.

ამ „განცხადების“ გამო გაცნობებთ, მიუხედავად იმისა, რომ რედაქცია ხელმოუწერელ მასალებს არ ბეჭდავს, თქვენი ლექსი „სატრფო“ იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ თქვენთან ერთად მოითხოვა მისი „გატარება“ ჟურნალში რედაქციის შთაქმემა კოლექტივმა. რედაქტორიც იძულებული გახდა, კოლექტივის სურვილს დამორჩილებოდა და თქვენი ლექსის (რომელიც შეიცავს ათას სტრიქონს) რამოდენიმე დამახასიათებელი სტრიქონი დაებეჭდა.

აი ეს სტრიქონებიც:

სამი წელი გიტანჯები
და წერილს გწერ წარა-მარა,
სულ არაფრად არ ჩამაგდე
და მითხარი: კმარა! კმარა!
მივატოვე შენთვის სწავლა,
თურმე იყავ შენ ბოროტი,

თუმც მიყვარხარ, მაინც გეტყვი,
ჩემი თუ არ ხარ, მალე მოკვდი.

შემდეგი თავებიდან ვტყობილობთ, რომ ის შენი სატრფო სამკითხველოს მუშაკი კოფილა, მისი სახელი და გვარი ტ. დ-ძე ყოფილა, რომელსაც სხვა ჰყვარებია. თქვენი სატრფო ალკა წევრიც ყოფილა, საზოგადოებრივ მუშაობაშიაც ლებულობს მონაწილეობას, მაგრამ, მისი უბედურობა, თქვენის აზრით, იმაში მდგომარეობს რომ თქვენ მას არ ჰყვარებხართ.

უნდა გირჩიოთ, თავი დაანებოთ იმ ქალს და სწვლა განაგრძოთ. რამდენიც არ უნდა უსურვოთ მას სიკვდილი, თქვენ მაინც არ ეყვარებით. რაც შეეხება მთლიანად თქვენს „პოემას“, მისი დიდი „ლიტერატურული ღირებულობის“ გამო ვინახავთ ჩვენს გოდორში.

ჩანგი (ქვემო ქალა, კასპის რაიონი) თქვენ სავაქრო ღუქნის გამყიდველს ი. ქ—შვილს უსაყვედურებთ იმის გამო, რომ მან თავის ნაცნობ — მეგობრებს: „შელავთიან პირობებში“ მიჰყიდა შაქარი. ჩვენის აზრით, ხსენებულ გამყიდველს შაქარი კი არა, მთელი ღუქანი ექნება გაყიდული თავისი — „უძრავ მოძრავი“ ქონებით, რომ ამასი დარწმუნდეთ, კარგად გამოარკვიეთ და გვაცნობეთ.



ინსპექტორი — ხომ არ უმოკმედნია თქვენს ბიუჯეტზე, ხორცისა და კარაქის გაძვირებას?
უმეღის მალბაროელი. — სრულებით არა: მაგ საგნებს ჩვენ დიდიხანია, არ ვყიდულობთ . . .